
ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროშა

№ 6 ივნისი 1961

## გულს უხარია

გ. ჩოგოვაძე—ბრძოლა ტექნიკური პროგრესისათვის

მ. კოტოვი—მშვიდობის ჯეჯილი

ე. ჰემინგუეი—არავინ არასდროს არ კვდება

ბედია ამის მიზეზი?

სიმღერის მადლი

ო. დგებუაძე—განთიადის დედოფალი

# მივცეთ სამშობლოს 1961 წ. 1000000000 ფუთი მარცვლეული

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## ოქროსთმიან სიმინდს

**კალე ბობოხიძე**

მთელი სოფელი ხარობს,
როცა ოცნება ჰყვავის;
ჩვენი სიუხვის წყარო
არის სიმინდის ხვავი.
დე შრიალებდე'ა ყანა
გალაღებული წვიმით,
სიო უმღერდეს ნანას
ოქროსთმებიან სიმინდს!
დე იყოს სანეტარო
მიწის ბარაქის მადლი;
ღერზე მოსხმული ტარო
იზარდოს თითო ადლი!
სითბო მატებდეს ძალას,
დადგეს სიმინდის ტევრი,
ფოჩის ციმციმა ცვარნამს
ეფრქვიოს ოქროს მტვერი!
ნაზად ღელავდეს ყანა,
ჟღერდეს ჩონგურის სიმიც!
სიო უმღერდეს ნანას
ხუჭუჭთმებიან სიმინდს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 6 (119) ივნისი, 1961 წ

გამოცემის XI წელი

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ნინო ბეროშვილი სიმინდის უხვ მოსავალს გვპირდება
(თელავის რ-ნი, სოფ. კურდღელაური)
ფოტო მ. კვირიკაშვილისა.



— ყოჩაღ, ყმაწვილო!



სიმონ წვერავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ როგორ შეიძლება? შენ ასე მაღალი ხარ, — მიმართა ომარს, — ის კი დაბალი,—ახლა თამაზისკენ შემობრუნდა სტუმარი, — ორივეს კი ერთნაირი თანრიგი გაქვთ? — სტუმარს გაეცინა, ომარი და თამაზი დაიბნენ, მაგრამ მალე იმათაც სიცილი წასკდათ.

— სწავლობთ? — შეეკითხა ხრუშჩოვი.

— მე პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი ვარ. — უპასუხა თამაზ იმნაიშვილმა.

— მე კი ახლა ვემზადები ინსტიტუტში შესასვლელად. — წყნარად თქვა ომარმა.

ნიკიტა სერგის ძემ ორივეს დაჰკრა ხელი მხრებზე და ახლა სხვებისკენ გაემართა. გურამი თავის საამქროსაკენ გაეშურა, მაგრამ ისევ მობრუნდა. მან დაინახა, რომ სტუმრები ჩამტეხ დაზგაზე მომუშავე ყმაწვილისკენ გაეშურნენ. აქ უცნაური რამ მოხდა: სასურველი სტუმრის დანახვით აღელვებული ქერათმიანი ჭაბუკი უცებ დაზგას მოშორდა და მისკენ მომავალ ხრუშჩოვს ბავშვივით ჩაეხვია მკერდში. ნიკიტა სერგის ძე მას მხურვალედ გადაეხვია. ჭაბუკი მალე გამოერკვა:

—მადლობა ნიკიტა სერგის ძევ, რომ მობრძანდით ჩემს დაზგასთან, ჩვენ ძალიან მოხარული ვართ თქვენი ნახვით!

— თქვენი გვარი, ყმაწვილო?

— პოხვიშჩევი ვლადიმერ ივანეს ძე!

—ყმაწვილო, ამ ჩამტეხ დაზგას მე კარგად ვიცნობ, — ნიკიტა სერგის ძემ იმ დაზგაზე მიუთითა, რომელზეც პოხვიშჩევი მუშაობს, — ახალგაზრდობისას, როცა ზეინკალი ვიყავი, ბოსის ქარხანაში ასეთ ჩარხებთან მქონდა საქმე. ახლა ის ქარხანა კომკავშირის თხუთმეტი წლისთავის სახელობისაა. მახსოვს, ერთხელ ქარხნის მეპატრონემ პატარა ჩამტეხი დაზგა მოიტანა, იგი ძველს ცოტათი სჯობდა; ეს თქვენი დაზგა, ცხადია, მასზე ბევრად უკეთესია, მაგრამ ახლანდელი ტექნიკის დონეს მაინც არ შეეფერება, უფრო უკეთესი დაზგა უნდა გვქონდეს.

ვლადიმერ პოხვიშჩევი დაძაბული ყურადღებით უსმენდა. გურამიც ახლოს იყო. მასაც ესმოდა ეს სიტყვები და იქ მყოფი ქარხნის ხელმძღვანელებივით გულში ამბობდა, რადა მაინცდამაინც ეს პრიმიტიული ჩამტეხი დაზგა მოხვდა თვალში, აგერ მეორე, მესამე, მეოთხე და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი მრავალი დაზგა, რამდენიც გნებავთ იმდენიაო, მაგრამ გურამი ამას გულში ამბობდა, თორემ სტუმარს როგორ შეაწუხებდა: წამობრძანდით, ეს დაზგა გამონაკლისია ჩვენს ქარხანაში, სხვებს უკეთესს, უფრო ახალს გიჩვენებთო. თუმცა სტუმარს იქ მიყვანა აბა რათ სჭირდებოდა, იგი ისედაც კარგად ხედავდა ახალ, მაღალი ტექნიკით აღჭურვილ მანქანებსაც.

გურამი ამ ფიქრებში რომ იყო გართული, სტუმარი ხარატ გიორგი ბერიაშვილთან მივიდა.

ნიკიტა სერგის ძე ღიმილით გამოესაუბრა მაღალ, შავგვრემან ახალგაზრდას, თბილად გამოემშვიდობა.

გურამი თავის საამქროსკენ გაიქცა. ახლა მაინც წამოვა ჩემსკენო, უკან მოიხედა, მაგრამ ხრუშჩოვის ყურადღება მიიპყრო ქარხანაში ყველაზე ახალგაზრდა, რამდენიმე თვის წინ მოსული, რობინზონ გრიგოლაშვილის რადიალურ-საბურღმა ჩარხმა. ნიკიტა სერგის ძე რამდენიმე წუთს უყურებდა მის მუშაობას, ჭაბუკი ღელავდა, გული ამოვარდნაზე ჰქონდა, მაგრამ ზუსტად, შეუმცდარად ბურღავდა.

— ყოჩაღ, ყმაწვილო! — ჩაესმა ყურში რობინზონს, მოიხედა და მომღიმარი სტუმრის თბილი ხელის შეხება იგრძნო.

გურამ ჩადუნელი ახლა თავის საამქროში გაჩნდა. ქარხნის ხელმძღვანელებმა ნიკიტა სერგის ძე აწყობი საამქროს ფართო დერეფნებში გაიყვანეს.

როცა ნიკიტა სერგის ძემ ქარხნის დირექტორისაგან გაიგო, რომ აი ის, საიუბილეოდ გამოშვებული თბილისური მარკის ახალი ელმავალი ნოვოჩერკასკულზე უფრო მძლავრია, რომ მას რვა ტონით ნაკლები ლითონი სჭირდება და საათში ხუთი კილომეტრით მეტს გადის, მოეწონა. წახალისებულმა დირექტორმა მაშინვე უთხრა, ჩვენი ქარხნის კოლექტივი ამჟამად ახალი კონსტრუქციის ელმავლის პროექტს ამუშავებსო.

— რა უპირატესობა ექნება მას ამ ელმავალთან? — იკითხა ნიკიტა სერგის ძემ.

— იგი ცვლად დენზე იმუშავებს, ერთი ძრავი ორ წყვილ თვალს მოიყვანს მოძრაობაში, რაც მთავარია, ელმავლის სიჩქარე ახლანდელი ასის ნაცვლად საათში ასსამოცი კილომეტრი იქნება!

ამასობაში ეზოში გავიდნენ, ნიკიტა სერგის ძემ ქარხნის ხელმძღვანელები შეაქო, თან დასძინა:

—ყველაფერი ნაკადურ წარმოებაზე უნდა გადავიყვანოთ. თუ გონივრულად

თბილისი. რამდენ სიხარულს იტევს ეს ერთი პატარა, სულზე უტკბესი სიტყვა, რამდენი სიცოცხლე და სიყვარულია შიგ ჩაღვრილი! როგორ კეკლუცად გამოიყურება დღეს მისი ყოველი კუთხე. ზეიმობს საქართველო, ზეიმობს მისი დედაქალაქი, მისი გული — თბილისი. მაინც სად იყო ამდენი ყვავილი, ამდენი ღიმილი და სიხარული!

ცამეტი მაისის წარმტაცი დილაა, გურამი ისევ გასული დღის შთაბეჭდილებების ქვეშ იმყოფება. გუშინ სპორტის სასახლეში მან არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ საბჭოთა კავშირის ხალხების გრანდიოზული ზეიმი იხილა. ახლა გურამი კვლავ ახალგამოშვებული ელმავლის „ტ-8"-ის წინ დგას. ფიქრები იმ ადამიანისკენ მიჰქრიან, რომელიც გუშინ ტრიბუნასთან ნახა და ყურადღებით მოისმინა მისი მგზნებარე სიტყვები.

ამ დილით ქარხნის ეზოში რომ შემოვიდა, უეცნაურა აქაურობა. მთელი ტერიტორია წითელი დროშებით, ყვავილებითა და ნაირფერი ტრანსპარანტებით იყო მორთული. ჰაუ, რამდენ ადამიანს მოუყრია თავი, ნეტავ რაშია საქმე? ვის მოელიან? იცის გურამმა, კარგად იცის ვისაც მოელიან, მაგრამ გაგონილს არ უჯერებს, რაღაცა ეჭვი ეპარება სანამ თვითონ არ ნახავს იმ სასურველ სტუმარს.

— ყოჩაღ, გურამ, გვასახელე ელმავალმშენებლები!

— ვინ გახსენა, ბიჭო, ვინ! ახლა მიწაზე კი არ უნდა გედგას ფეხი, გაგარინივით კოსმოსში უნდა დაფრინავდე!—ყოველი მხრიდან ესმის ალტაცებული შეძახილები.

ქარხნის ეზოში მოულოდნელად დაირხა აღფრთოვანებული ხმა:

— ხრუშჩოვი მოვიდა!

— ნიკიტა სერგის ძეს გაუმარჯოს! — გაისმის შეძახილები.

ნიკიტა სერგის ძე მანქანიდან გადმოვიდა. გაღიმებული სახით გახედა ზღვასავით ატორტმანებულ ხალხს. ვასილ პავლეს ძე მჟავანაძემ სასურველ სტუმარს ქარხნის დირექტორი ირაკლი ზერეკიძე, მთავარი ინჟინერი აპოლონ მასხარაშვილი და პარტიული კომიტეტის მდივანი სულეიმან სარიშვილი წარუდგინა. მალე სტუმრები მექანიკური საამქროს დასათვალიერებლად გაემართნენ. საამქრომ ერთი წუთით შეწყვიტა მუშაობა.

— ბიჭებო, ადგილებზე იყავით, სად გარბიხართ?—ყვირის სახეგაბრწყინებული გურამი და თვითონვე გარბის მეზობელ საამქროსაკენ. აქ საპატიო სტუმარს წინ მიუძღვებიან, სულ მალე იგი გურამის საამქროშიც შემოვა. შემოვა და გურამი სიხარულით ეტყვის მას: ამხანაგო ნიკიტა სერგის ძევ, მე ვარ გურამ ჩადუნელი. გუშინ პირველად რომ მახსენეთო...

რას ხედავს ამას ჩადუნელი! ხრუშჩოვი წევის ძრავის კორპუსთან შემდგარა და ახალგაზრდა მუშებს ომარ გურგენიშვილსა და თამაზ იმნაიშვილს მისთვის ჩვეული ღიმილით ხელს ართმევს და ეკითხება:

— თქვენ ლითონის მომნიშვნელები ხართ, არა?

— დიახ, ამხანაგო ხრუშჩოვ! — მკვირცხლად უპასუხებს ომარი.

— ხელფასს რამდენს იღებთ?

— ოთხმოცდაათ მანეთს.

— რომელი თანრიგი გაქვთ?

— ორივეს მესამე.

არ გამოვიყენებთ ტექნიკას, ვერ მივაღწევთ შრომის ნაყოფიერების გადიდებასა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. ისეთი სატეხი ჩარხებით, რომელიც ახლა ვნახეთ, შორს ვერ წავალთ. რასაკვირველია, ტექნოლოგიის შეცვლა არ გეხალისებათ, ასე უფრო მშვიდად ხართ. აქ კი საჭიროა ფაციფუცი და თავის მტვრევა, მაგრამ სიახლე ყოველთვის ადვილად როდია ასათვისებელი, მტკიცედ უნდა წავიდეთ პროგრესის გზით. ჩვენს ქვეყანას სჭირდება თქვენი ელმავლები. ჩვენი რკინიგზის ტრანსპორტი სულ უფრო მტკიცედ გადადის ელექტროენერგიის გამოყენებაზე.

ამ დროს ირაკლი ზერეკიძემ ნიკიტა სერგის ძეს სამახსოვრო ნიშანი გადასცა, რომელზედაც ელმავლის ემბლემა იყო გამოსახული. ნიკიტა სერგის ძემ მკერდი წამოსწია წინ, აქ დამაბნიეთო, დირექტორმაც არ დააყოვნა და სამახსოვრო ნიშანი გაუკეთა მკერდზე. სტუმარი მალე გამოეთხოვა ქარხნის კოლექტივს და მანქანაში ჩაჯდა.

გურამი სახტად დარჩა, გულში თავისი თავი დატუქსა, ბიჭო, გლახა ხარ, გლახა, ვერ მიდი ახლოს? ვერ დადექი იმ შენი ხელით გაკეთებულ ელმავალთან და ვერ უთხარი, ძია ნიკიტა, მე ვარ ის ჩადუნელი, პირველად რომ მახსენეთო? ჰა, ვერ მიდი? შენ თუ გლახა და მხდალი ხარ და ვერ გაბედე მისვლა, შენმა დირექტორმა მაინც ვერ წარგადგინა? ჰა!

რა იცოდა გურამმა, რომ დირექტორს შეიძლება იგი კიდევაც გაახსენდა, მაგრამ შესაფერისი დრო ვერ შეურჩია...

მეც იქ ვიყავი, მკითხველო, ყველასთან ერთად მეც განვიცდიდი ამ დიდ სიხარულს...



ამხანაგი ა. ი. მიქოიანი სტუმრად ერნესტ ჰემინგუეისთან

„ჩემი ქვეყნის მოქმედების გამო მე სირცხვილისაგან ვიწვი... კენედიმ და მისმა კომპანიამ ჩვენ ბარბაროსების ხანას დაგვაბრუნა“ — ეს სიტყვები ერნესტ ჰემინგუეის არ ეკუთვნის, გულისტკივილით და მრისხანებით ის წარმოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების დიდმა მწერალმა და მეცნიერმა რაიტ მილლმა, რომელიც ყველა პატიოსან და მშვიდობისმოყვარე ადამიანებთან ერთად აღშფოთებულია შეერთებული შტატების აგრესიით თავისუფლებისმოყვარე კუბელ ხალხთა წინააღმდეგ.

მილლი ჯერ კიდევ შეერთებულ შტატებში ცხოვრობს. რაც შეეხება ერნესტ ჰემინგუეის, მან სამუდამოდ მიატოვა განგსტერებით გავსებული ჩიკაგო და კუბაში დასახლდა. სიცოცხლით აღსავსე მოხუცი ჰემინგუეი ახლა უმღერის რევოლუციონერებს, ის ჩვენთან ერთად დარწმუნებულია იმაში, რომ კუბას ვერავინ წამოაჩოქებს.

ქვემოთ ვათავსებთ ერნესტ ჰემინგუეის მოთხრობის „არავინ არასდროს არ კვდება“ — ნაწყვეტს.

ამ მოთხრობაში ერნესტ ჰემინგუეიმ თავისი ჩვეული ოსტატობით ასახა ერთ-ერთი ეპიზოდი იმ ბრძოლისა, რომელსაც კუბელი რევოლუციონერები აწარმოებდნენ კუბელ დიქტატორის, ბატისტას სისხლიანი რეჟიმის წინააღმდეგ.

# არავინ არასდროს არ კვდება

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ხეებს ქარმა დაუბერა და აივანზე აცივდა. ენრიკემ თეფშები ისევ კალათში ჩასდო და ხელსახოცით ტუჩები მოიწმინდა. მერე ხელები გულდაგულ გაისუფთავა და ქალიშვილს მკლავი მოხვია. მარია ტიროდა.

„ნუ ტირი, მარია, — თქვა ენრიკემ, — რაც მოხდა — მოხდა. ახლა საქმეზე უნდა ვიფიქროთ. აქ ბევრი რამ არის გასაკეთებელი“.

მარიამ არაფერი თქვა, ენრიკემ ქუჩის ფარანის სინათლეზე დაინახა, რომ მარია გარინდებით იხედებოდა წინ.

„ჩვენ მთელ ამ რომანტიზმს ბოლო უნდა მოვუღოთ. ეს ადგილი ამ რომანტიზმის მაგალითია. ჩვენ უნდა შევწყვიტოთ ტერორი. აწი ისე უნდა ვიმოქმედოთ, რომ არასოდეს არ გადავვარდეთ რევოლუციურ ავანტიურიზმში“.

ქალიშვილი ისევ დუმდა, ენრიკე კი უყურებდა მის სახეს, იმ სახეს, რომელზედაც მთელი ამ თვეების განმავლობაში ფიქრობდა ხოლმე.

„შენ ისე ლაპარაკობ, თითქოს წიგნი იყო, — თქვა მარიამ, — შენი ლაპარაკი ადამიანურს არა ჰგავს“.

„ვწუხვარ, — თქვა ენრიკემ, მაგრამ ეს მხოლოდ გაკვეთილია, რაც ცხოვრებამ მასწავლა. მე ვიცი, რომ ეს უნდა გაკეთდეს, ჩემთვის ყოველივე ეს უფრო ნამდვილია, ვიდრე სხვა რამ“.

„ჩემთვის კი ყველაზე ნამდვილია მკვდრები“, — თქვა მარიამ.

„მკვდრებს დიდება. მაგრამ ეს არ არის მთავარი“.

„შენ კვლავ წიგნურად ლაპარაკობ, — გაბრაზებულად თქვა მარიამ, — შენ, გულის მაგივრად, წიგნი გიდევს.“

„ვწუხვარ, მარია. მეგონა, მიმიხვდებოდი“.

„ყველაფერი, რასაც ვხვდები, ეს მკვდრებია“, — თქვა მარიამ.

ენრიკემ იცოდა, რომ მარია მართალს არ ამბობდა. მარიას არ უნახავს, როგორ კვდებოდნენ ისინი წვიმაში, ჯერამის ზეთისხილის ხეებქვეშ, ქვიჟორნის დანგრეულ სახლებში პაპანაქება სიცხის დროს და თოვლში ტერუელთან. მაგრამ ენრიკემ იცოდა, რომ მარია საყვედურობდა მას, შენ გადარჩი, ვისენტე კი მოკვდაო, და ამან, უეცრად, მწარედ ატკინა გული ენრიკეს, რადგან, როგორც ჩანს, მას კიდევ ჰქონდა შემორჩენილი პატარა ნაწილი იმ ადრინდელი ადამიანური გრძნობებისა, რომლის არსებობა ახლა აზრადაც არ მოსდიოდა.

„აქ, გალიაში ჩიტი იყო დამწყვდეული, — თქვა ენრიკემ, — მგალობელი მაქციერა ჩიტი“.

„ჰო“.

„მე ის გავუშვი“.

„კეთილი ყოფილხარ, — გულამრეზილად უთხრა მარიამ, —

(გაგრძელება მე-17 გვ.)

# ბრძოლა ტექნიკური პროგრესისათვის

გ. ჩოგოვაძე

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს მშრომელებმა უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში იდღესასწაულეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავი.

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ეს ყველაზე ღირსშესანიშნავი თარიღი რესპუბლიკის მშრომელებმა აღნიშნეს გრანდიოზული გამარჯვებებით ეკონომიკის, მეცნიერების, ტექნიკის და კულტურის ყველა დარგში. ეს გამარჯვებები რესპუბლიკის მშრომელებმა მოიპოვეს გმირულ შრომასა და ბრძოლაში მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ხალხებთან მტკიცე და ძმურ თანამეგობრობაში.



რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის საკომპრესორო საამქროს საერთო ხედი

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 40 წლისთავზე, ქართველი ხალხის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია მძლავრი სოციალისტური მრეწველობის, განსაკუთრებით კი მძიმე ინდუსტრიის შექმნა, რომელიც მის ყველაზე უფრო დიდ სიამაყეს წარმოადგენს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში ფართოდ გაიშალა მუშაობა მრეწველობის სხვადასხვა დარგების შექმნისა და განვითარებისათვის. მაგრამ ამ სამუშაოთა წარმატებით განხორციელებას მნიშვნელოვნად უშლიდა ხელს ინჟინერ-ტექნიკოსთა კადრების სიმცირე.

ამიტომ სხვადასხვა სპეციალობისა და განსაკუთრებით მშენებელ ინჟინერ-ტექნიკოსთა კადრების მომზადების საკითხი ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა. ტექნიკური კადრების მომზადების პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ იდგა პირველი ხუთწლედის პერიოდში, როცა შენდებოდა სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და იქმნებოდა მძიმე ინდუსტრიის ცალკეული დარგები.

საბჭოთა კავშირის ხალხების და პირველ რიგში დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით, ეს პრობლემა, ისე როგორც სხვა სამეურნეო-კულტურული პრობლემები, წარმატებით გადაიჭრა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა პოლიტექნიკური ფაკულტეტი, რომლის ბაზაზე 1929 წელს ჩამოყალიბდა ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ამჟამად ეს ინსტიტუტი ქართველი ტექნიკური ინტელიგენციის მომზადების ძირითად კერას წარმოადგენს. პირველი ქართველი ინჟინრები გამოშვებულ იქნენ ჯერ კიდევ 1928 წელს. ამ პერიოდიდან დაწყებული საქართველოში ყოველწლიურად ასობით მაღალი კვალიფიკაციის ინჟინერი მზადდება მშენებლობის, ტრანსპორტის და მრეწველობის სხვადასხვა დარგებისათვის, რომლებიც დიდი მონდომებით და უნარიანად მუშაობენ სოციალისტური მშენებლობის უბნებზე. წარმატებით გადაიჭრა საშუალო განათლების სპეციალისტების — ტექნიკოსების მომზადების საკითხიც. დღეისათვის რესპუბლიკაში არსებობს 13 სამრეწველო ტექნიკუმი, რომლებიც ამზადებენ ტექნიკოსებს მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტისათვის.

ამჟამად რესპუბლიკის ქარხნებში, ფაბრიკებში, შახტებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, სამეცნიერო-საკვლევ, საპროექტო და საკონსტრუქტორო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში უმთავრესად ქართველი ინჟინერ-ტექნიკოსები მუშაობენ. ისინი საბჭოთა სახელმწიფოს აღზრდილები და კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის ერთგული შვილები არიან.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში შეიქმნა და განვითარდა მეტალურგიული, ქიმიური, მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკური, ხელსაწყოთმშენებლობის, მსუბუქი, საფეიქრო, ხე-ტყისა და ქაღალდის წარმოების დარგები. შექმნილია მსხვილი ენერგეტიკული მეურნეობა და მრავალდარგოვანი კვების მრეწველობა. ძლიერ



ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა. უნაგირა ავტოსაწევარის კონსტრუქტორთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ): კ. მოსეშვილი, ა. ხეთერელი და ა. ხუჭუა.

განვითარდა სამთო მრეწველობა და საშენ მასალათა წარმოება. რესპუბლიკის მრეწველობა უფრო სწრაფი ტემპებით ვითარდებოდა და ვითარდება ომის შემდგომ, განსაკუთრებით კი მიმდინარე შვიდწლედში. რესპუბლიკის საწარმოებმა 1960 წელს თითქმის 4-ჯერ გადააჭარბეს 1940 წელს გამოშვებულ საერთო სამრეწველო პროდუქციის დონეს. წარმოების ასეთ მკვეთრ ზრდასთან ერთად გაიზარდა და დავაჟკაცდა ქართველი ტექნიკური ინტელიგენცია. დღეს ჩვენს ინჟინერ-ტექნიკოსებს შეუძლიათ წარმატებით გადაჭრან მრეწველობის წინაშე წამოჭრილი თითქმის ყველა ტექნიკური პრობლემა. ამჟამად მარტო საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემის საწარმოებში, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში, საპროექტო, საკონსტრუქტორო და სხვა ორგანიზაციებში ოცი ათასამდე ინჟინერი და ტექნიკოსი მუშაობს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ თავის ისტორიულ გადაწყვეტილებებში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია ტექნიკური პროგრესის ძირითადი საშუალებაა, რის გარეშეც შეუძლებელია მრეწველობის განვითარების ტემპების დაჩქარება, შრომის ნაყოფიერების და წარმოების ხარისხობრივი მაჩვენებლების შემდგომი ზრდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის ივნისის და 1960 წლის ივლისის პლენუმებმა უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები დასახეს მრეწველობის შემდგომი ტექნიკური პროგრესისა და მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა წარმოებაში დასანერგავად.

ამ დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებაში უდიდესი როლი ენიჭება ტექნიკურ ინტელიგენციას. იგი მოწოდებულია სათავეში ჩაუდგეს ამ მუშაობას, წარმოების ნოვატორებთან ერთად გამოავლინოს შიგა რეზერვები, სწორად და დროულად გადაჭრას ყველა საკითხი, რომელიც დაკავშირებულია საწარმოო პროცესების მექანიზაციასთან და ავტომატიზაციასთან, ახალი პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვასთან, პროდუქციის ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებასა და მისი თვითღირებულების შემცირებასთან.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებში მომუშავე ინჟინერ-ტექნიკოსები და მეცნიერ მუშაკები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების მეცნიერ მუშაკებთან მჭიდრო საქმიან კავშირში ენერგიულად და თავდადებით იბრძვიან მრეწველობაში ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და მისი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის.

ამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებათა განხორციელებაში ქართველ ტექნიკურ ინტელიგენციას მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს. ავტომატიზებული და მექანიზებულია მრავალი საწარმოო პროცესი, შექმნილია სხვადასხვა ხელსაწყო, აპარატი და ავტომატიზაციის სხვა საშუალებანი, ახალი მაღალმწარმოებლური ჩარხები, დამუშავებული და დანერგილია ახალი ტექნოლოგიური პროცესები, გამოვლინებული და შესწავლილია ადგილობრივი ნედლეულის ახალი სახეები.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა შეიმუშავა და დანერგა მანგანუმის შენადნობთა გამოდნობის ახალი ტექნოლოგია, რის შედეგად ფეროშენადნობთა ღუმელების მწარმოებლობა გაიზარდა 25-30 პროცენტით, ფერომანგანუმის თვითღირებულება შემცირდა 14 პროცენტით, სილიკომანგანუმისა —30 პროცენტით, ელექტროენერგიის ხარჯი შემცირდა 20 პროცენტით, საგრძნობლად გაუმჯობესდა ფეროშენადნობთა ხარისხი. ამ სამუშაოსათვის ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსთა ჯგუფს სტალინური პრემიის ლაურეატობა მიენიჭა. სტალინური პრემიით აღინიშნა აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი და ელექტროქიმიის მუშაკების და ამ ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსთა მიერ დამუშავებული და დანერგილი ელექტროლიზური მანგანუმის წარმოების ტექნოლოგია, რომლის ერთადერთი მწარმოებელი საბჭოთა კავშირში ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაა.

რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანაში პირველად სსრ კავშირში მიღებულ იქნა ამიაკი კოქსის გაზის მეთანის კატალიზური კონვერსიის ხერხით, რამაც ქარხანას გაუადვილა ბუნებრივი გაზით მუშაობაზე გადასვლა. 1958 წელს ქარხანამ ერთ-ერთმა პირველმა საბჭოთა კავშირის აზოტის მრეწველობაში საკუთარი ძალებით შექმნა მეთანის კონვერსიის ავტომატიზებული პროცესი და გამოყენებითი და ელექტროქიმიის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებთან ერთად აითვისა კალიუმის პერმანგანატის გამოშვება ფერომანგანუმის ანოდური მეთოდით გახსნით, აგრეთვე გადაჭრა ღარიბი კარბონატული მანგანუმის მადნებიდან მანგანუმის ხელოვნური ორჟანგის მიღების პრობლემა.

ენერგეტიკული მეურნეობის ინჟინერ-ტექნიკოსებმა განახორციელეს მთელი რიგი ჰიდროელექტროსადგურებისა და რაიონული ქვესადგურების სრული ავტომატური მართვა. ამჟამად ხრამჰესი, სოხუმჰესი, ჩითახევჰესი, აწჰესი, მარტყოფჰესი, შაორჰესი, გუმათჰესი II და მცხეთის, ახალციხის, ავლაბრის, ქობულეთის და ახალი ათონის ქვესადგურები გადაყვანილია ავტომატურ მართვაზე.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა შექმნა ახალი კონსტრუქციის მილების დასამუშავებელი მაღალმწარმოებლური სპეციალური ჩარხები, მოაწყო „163“ მოდელის ჩარხის დამუშავების და კონვეიერული აწყობის 18 ნაკადური ტექნოლოგიური ხაზი, რის შედეგად ქარხანამ ამავე საწარმოო ფართობზე დაახლოებით ორჯერ გაადიდა ჩარხების გამოშვება, ორჯერ შეამცირა მათი თვითღირებულება და 80 პროცენტზე მეტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება.

ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კონსტრუქტორებმა დაამუშავეს გადიდებული გამავლობის უნაგირა ავტოსაწევარის კონსტრუქცია, რომლის საცდელმა ნიმუშებმა წარმატებით გაიარეს საწარმოო გამოცდები.

თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა დაამუშავა T—8 ელმავლის მოდერნიზაციის პროექტი. ქარხანამ საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავის აღსანიშნავად დაამზადა ახალი მოდერნიზებული ელმავლის T—8-ის საცდელი ნიმუში.

ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, ტრესტ „საქართველოს ჩაის“, გორის მრეწველობის ავტომატიზაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სპეციალურმა საკონსტრუქტორო ბიუროს მუშაკებმა შექმნეს მსოფლიოში პირველი მწვანე ბაიხაო ჩაის გადასამუშავებელი ავტომატიზებული ნაკადური ხაზი. ტრესტ „საქართველოს ჩაის“ მუშაკებმა დაამუშავეს და 1960 წელს განახორციელეს 27 ჩაის ფაბრიკის საროლერო საამქროების კომპლექსური მექანიზაცია, რითაც 30 პროცენტზე მეტით გაზარდეს ფაბრიკების მწარმოებლობა. ეს ღონისძიება განხორციელდება მიმდინარე წელს ჩაის ფოთლის კრეფის სეზონისათვის შავი ბაიხაო ჩაის ყველა ფაბრიკაში.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სახელმწიფო სპეციალურმა საკონსტრუქტორო ბიურომ პირველმა მსოფლიოში შექმნა ჩაის საკრეფი მანქანის საცდელი ნიმუშები, რომელთა საწარმოო გამოცდამ დადებითი შედეგები გვიჩვენა.

ეს მაგალითები მცირეოდენი ნაწილია ტექნიკურ ღონისძიებათა იმ სიისა, რაც დაამუშავა და განახორციელა ქართველმა ტექნიკურმა ინტელიგენციამ.

რესპუბლიკის მრეწველობის განვითარების სულ უფრო და უფრო მზარდი ტემპები, საწარმოო პროცესების შემდგომი მექანიზაცია და ავტომატიზაცია, წარმოების ახალი ტექნოლოგიის დამუშავება და დანერგვა, პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება და მისი თვითღირებულების შემცირება ახალ დიდმნიშვნელოვან ამოცანებს აყენებს ქართველი ტექნიკური ინტელიგენციის წინაშე.

ჩვენი სახელოვანი მრავალათასიანი ტექნიკური ინტელიგენცია წარმატებით გადაჭრის მის წინაშე მდგომ დიდ ამოცანებს და თავის ღირსეულ წვლილს შეიტანს კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.



ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ელექტროლიზური საამქროს მოწინავე ბრიგადირები გ. შავიძე (მარცხნივ) და ა. კეკელიძე.

ფოტო თ. არჩვაძისა

**მიხეილ კოტოვი**

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი.
მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის
პასუხისმგებელი მდივანი.

# მშვიდობის ჩიტია



ეს იყო **1949** წლის აპრილში. მშვენიერი, მშვიდობით აღსავსე გაზაფხული იდგა. პარიზში ჩამოსული ყველა კონტინენტის წარმომადგენელი პლეიელის სახელგანთქმულ დარბაზში შეიკრიბა მშვიდობის მომხრეთა პირველ მსოფლიო კონგრესზე. მიუხედავად იმისა, რომ გაფურჩქნული, წყნარი, მშვიდი გაზაფხული ყვაოდა, სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც პარიზში საფრანგეთის მმართველთა სურვილის უნებურად ჩამოვიდნენ, მშვიდობის დაცვის ბედზე სწუხდნენ და ეს გასაგებიცაა. მშვიდობის მტრები იარაღს აუღარუნებდნენ, ცივ ომს გულმოდგინედ აჩაღებდნენ. ოკეანის იქიდან დაუფარავად ისმოდა ომის გამჩაღებელთა ღრიალი. სწორედ ამიტომ ხალხმა პარიზში გამოგზავნა თავიანთი წარმომადგენლები, რომ მათ ეთქვათ მტკიცე უარი ახალი ომის წინააღმდეგ. პარიზის მშვიდობის მომხრეთა პირველმა კონგრესმა საფუძველი ჩაუყარა ხალხთა მშვიდობის დაცვის მოძრაობას. პარიზის კონგრესი ჭეშმარიტად მშვიდობისმოყვარე ხალხთა ფორუმი იყო.

კონგრესი გახსნა ჩვენი დროის დიდმა მეცნიერმა ფრედერიკ ჟოლიო-კიურიმ. მაგონდება მისი სიტყვები: „ხალხს სურს დაიცვას მშვიდობა, მშვიდობის დაცვა ყველა უბრალო კაცის მოვალეობაა, ყველა ჩვენგანს უშუალოდ ეხება“. მსოფლიოს ყველა კუთხეში ხალხი ამ სიტყვებს დიდი აღფრთოვანებით შეხვდა.

მშვიდობის მომხრეთა პირველმა კონგრესმა ხალხს მოუწოდა ფხიზლად ადევნოს თვალ-ყური ომის გამჩაღებელთა ხრიკებს, — გაერთიანდნენ მშვიდობისათვის ბრძოლაში. კონგრესმა აირჩია მშვიდობის მომხრეთა მუდმივი მსოფლიო კომიტეტი, რომელსაც დაევალა ყველა მშვიდობის დამცველი ძალის კოორდინაცია.

პარიზის კონგრესის შემდეგ მხოლოდ რამდენიმე წელმა განვლო. მაგრამ რამდენი ცვლილება მოხდა მას შემდეგ? ჩვენი სამყარო გამოიცვალა.

**1961** წლის გაზაფხულზე მშვიდობის მეგობრებმა აღნიშნეს მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის თორმეტი წლისთავი. რა მშვენიერი და დაუვიწყარია წელს გაზაფხული! სწორედ ამ გაზაფხულს მსოფლიოს ყველა კუთხეს მოედო ცნობა იმაზე, რომ ჩვენი დიადი საბჭოთა ქვეყნის მოქალაქე, კომუნისტი იური გაგარინი პირველი შეიჭრა კოსმოსში, ჩვენს პლანეტას ხომალდით შემოუარა და მშვიდობით დაბრუნდა სამშობლოში. იური გაგარინის გმირობამ სიხარულით აუვსო გული ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანს. რა ბედნიერებაა, რომ ჩვენს პლანეტაზე არის საბჭოთა ქვეყანა — ხალხთა შორის მშვიდობის ალამდარი! ყოველ გაზაფხულს მშვიდობის მეგობრები დიდი იმედით ხვდებიან და ეს გასაგებია. გაზაფხული არა მარტო ბუნებას აცოცხლებს, ის ყველა ხალხის შრომის დღესასწაულია! და, აი, სწორედ ამ საყოველთაო დღესასწაულის დროს, მაშინ, როდესაც მთელი კაცობრიობა ზეიმობდა პირველი საბჭოთა კოსმონავტის უდიდეს გმირობას, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ინტერვენცია მოაწყო კუბაში. ამ ვერაგულმა აქტმა მთელი მსოფლიო აღაშფოთა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, როგორც ყოველთვის, სცადა შენიღბვა, მაგრამ მსოფლიოს ყველა პატიოსანმა ადამიანმა, მშვიდობისმოყვარე ხალხმა გაფანტეს ღრუბლები, ამერიკელ მონოპოლისტებს ნიღაბი ჩამოგლიჯეს. ვისი თვითმფრინავები ბომბავდნენ და ხოცავდნენ კუბელ ბავშვებს, ქალებს და მოხუცებს? ყველასათვის ცხადია, რომ „ანტიკასტროს“ ძალები მომზადებული და შეიარაღებული იყვნენ პენტაგონის, ალენ დალესისა და შეერთებული შტატების მონოპოლისტების მიერ, რომლებსაც არაფრის გულისათვის არ სურთ შეიგნონ, რომ კუბა დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომ ბედნიერ, თავისუფალ კუბელ ხალხს ვერავინ წამოაჩოქებს მუხლებზე. კუბამ კიდევ ერთი გაკვეთილი მისცა ამერიკის შეერთებულ შტატებს. ინტერვენტების განადგურება კუბაში მშვიდობისმოყვარე ხალხის უდიდესი გამარჯვებაა.

ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში კეთილი ნების ადამიანებს — ინდოელ გლეხს, საფრანგეთის მეღვინეს, იაპონელ მეთევზეს, კანადის შეშის მჭრელს, საბჭოთა მეშახტეს და ეგვიპტის ფელახს, მწერალსა და მეცნიერს, მოხუცსა და ახალგაზრდას — ყველას უნდა, რომ ცის თაღი მუდამ იყოს სუფთა, რომ მათ კარ-მიდამოს არასოდეს არ გაეკაროს ომი.

ხალხთა მახსოვრობაში არ წაშლილა სტალინგრადისა და ორადურის, ვიეტნამისა და კორეის ქალაქების ნანგრევები. ხალხს არასოდეს არ დაავიწყდება ოსვენციმი და მაიდანეკი, არ დაავიწყდება ის თუ რა კვალი დასტოვეს შეერთებულმა შტატებმა ხიროსიმასა და ნაგასაკში.

მიმდინარე წლის მარტში დელში შესდგა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია. ხიროსიმიდან ჩამოსული დელეგატი მოგვიყვა იმ მძიმე საშინელ შედეგებზე, რომელსაც ჯერ კიდევ განიცდიან ხიროსიმისა და ნაგასაკის მცხოვრებლები. „მე მინდა მეგობრებო, მოგაგონოთ, — თქვა მან, — რომ დედამიწაზე არის ხიროსიმა, რომელიც მუდამ მოგვიწოდებს ატომური ომის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ“.

მშვიდობისათვის დაძაბული ბრძოლა დედამიწის ყველა მატერიკზე მიმდინარეობს. ამერიკის შეერთებულ შტატებში მშვიდობის მომხრეთა ორგანიზაცია ძირგამომთხრელ ორგანიზაციად გამოაცხადეს. დასავლეთ გერმანიაში ხალხთა შორის მეგობრობისათვის და მშვიდობისათვის მებრძოლებს ციხეში ყრიან. მაგრამ ჩვენი დროის უდიდესი მოძრაობის შეჩერება არავის შეუძლია. ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, დანიასა და შორეულ იაპონიაში, ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში — მთელ ჩვენს პლანეტაზე ძლიერდება მშვიდობისათვის ბრძოლა.

სანფრანცისკოში, ლოს-ანჟელოსსა და ამერიკის სხვა ქვეყნებშიც მასიური მიტინგები ტარდება: „ძმობა ყუმბარების ნაცვლად“. — დაჟინებით მოითხოვენ კეთილი ნების ადამიანები.

წელს გაზაფხულზე ინგლისში მოეწყო მშვიდობისათვის მებრძოლთა დიდი ლაშქრობა. ოლდერმასტონიდან და უეზერსფილიდან ლონდონისაკენ გაილაშქრეს ათასობით ადამიანებმა. ამ ლაშქრობაში დასავლეთ გერმანიიდან მონაწილეობა მიიღო 700 კაცმა. სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის იაპონიაშიც, ბევრმა გამოთქვა სურვილი შოტლანდიაში გამგზავრებაზე, მაგრამ დიდი ბრიტანეთის მთავრობამ ამ ხალხს არ მისცა ვიზები. სიმპტომატურია ის, რომ სწორედ ამ ლაშქრობის დროს, შეერთებული შტატების წყალქვეშა ნავი „პატრიკ ჰენრი“ ჩუმად, ქურდულად გაიპარა სოლი-ლოხის უბედან.

ლონდონელმა მასწავლებელმა პატრიცია ოკონელმა — ხუთი შვილის დედამ განაცხადა: „მე დარწმუნებული ვარ, რომ, თუ ლაშქრობაში მონაწილეობისათვის ციხეში ჩამსვამენ, ჩემი შვილები გამიგებენ, რომ მე ეს მათი და სხვა ბავშვების ბედნიერებისათვის გავაკეთე“.

ქალბატონმა ლიზ დალესმა ასე თქვა: „ჩემი პირველი ქალიშვილი დაიბადა იმ დროს, როდესაც ლივერპულს ყუმბარებს უშენდნენ. მაშინ მე ფიცი დავდე, რომ მთელ ჩემს ცხოვრებას შევწირავ მშვიდობისათვის ბრძოლას“.

მეხიკოში გაიმართა ლათინური ამერიკის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა კონფერენცია, რომელმაც მტკიცედ დაუჭირა მხარი გმირ კუბელ ხალხთა კანონიერ ბრძოლას. დელის სესიამ ყველა ხალხს მოუწოდა გააძლიეროს ბრძოლა განიარაღებისათვის, კოლონიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის. დავიცვათ მშვიდობა! ასეთია ყველა ხალხის დევიზი.

(დაწერილია ჟურნალ „დროშისათვის“)



# [illegible]

გიორგი გოჩიტაშვილი

წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის ტერიტორიაზე ვართ. ჭერ კიდევ შორიდან მოგვესმის მწყემსის დოლინი. მან ფარა გაუშვა საძოვარზე და ბუნების ხავალობელს მღეროდა. ეს მე-14 ბრიგადის მწყემსი იოსებ კირვალიძე იყო, რომელსაც მეოთხედი საუკუნე კომბლით ხელში ცხვართან უთენთუთებია და 60 წელს მიღწეულ ვაჟკაცს თავი არასოდეს შეურცხვენია. იგი ახლაც ბერმუხასავით დგას ამ ტრიალ მინდორზე და დაუღალავი შრომით ამრავლებს საკოლმეურნეო დოვლათს,

ვეცნობით არბოშიკელთა ფერმის ავ-კარგს. ფერმის ზოოტექნიკოსი თარიმან ლომიძე, ბეითლები ვალერიან ალადაშვილი და ივანე ლომაშვილი ენაწყლიანად გვებიან მეცხვარეთა წარმატებებზე.

ჩვენმა მეცხვარეებმა გადაწყვიტეს შვიდწლიანი გეგმის ხუთ წელიწადში შესრულება. შარშან ნამატის გამოზრდისა და ხორცის წარმოების გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს, თვითეულ ცხვარზე საშუალოდ 8,5 კილოგრამი მატყლი გაპარსეს, სახელმწიფოს მიჰყიდეს 84 ტონა მატყლი. მათ მტკიცედ გადაწყვიტეს სკკპ XXII და საქართველოს კპ XXI ყრილობების აღსანიშნავად კიდევ უფრო გააუმჯობესონ ცხვრის მოვლა-პატრონობა, ზოოვეტერინარული მომსახურება, მოხპონ ბერწიანობა, მთლიანად შეინარჩუნონ მიღებული ნამატი, გადაჭარბებით შეასრულონ ხორცის წარმოების გეგმა; ნაცვლად 8,2 კილოგრამისა თვითეულ ცხვარზე გაპარსონ 8,6 კილოგრამი მატყლი, ადრეული დოლის ბრიგადებში კი 4 კილოგრამზე მეტი და კოლმეურნეობას მისცენ 400.000 მანეთი შემოსავალი (ფულის ახალი მასშტაბით).

გიორგი ბაცაცაშვილის ბრიგადას, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, არბოშიკელი მწყემსები გვარდიულ ბრიგადას ეძახიან, რადგან მას ყოფილი გვარდიელი მეომარი ხელმძღვანელობს და ყოველწლიურად გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს. ახლა, შვიდწლედის მესამე წელს, როცა საქვეყნოდ ცნობილი გახდა სტავროპოლელი მეცხვარის ი. მალაშენკოს შესანიშნავი თაოსნობა ორ წელიწადში სამი დოლის მიღებაზე, გიორგი ბაცაცაშვილმა რაიონში პირველმა მიბაძა ამ ნოვატორს და სასახელო შედეგებსაც აღწევს.

გაზეთებიდან გაეცნო თუ არა მალაშენკოს გამოცდილებას, ბაცაცაშვილმა გადასწყვიტა შესდგომოდა ამ დიდებულ საქმეს და სწრაფი ტემპით გაემრავლებინა ცხვრის სულადობა, გაედიდებინა მატყლისა და ხორცის რაოდენობა. თავისი განზრახვა მოხუც მწყემსებს ი. კირვალიძესა და პ. ნანობაშვილს გაანდო.

— კარგი აზრია, შვილო, ეს კია, რომ სიმდიდრეს სიმდიდრე მიემატება და უფრო წელში გასწორდება ჩვენი კოლექტივი, მაგრამ მეცხვარის ფიქრი პირველად დედაცხვარს უნდა დასტრიალებდეს თავს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საიალაღოდ მგზავრობა შორ მანძილზე გვიხდება, ვაითუ დასუსტდეს დედაცხვარი და მოგების ნაცვლად წაგება ვნახოთ, მაშინ ხომ საქვეყნოდ მოგვეხდება ქუდი.

მე-14 ბრიგადაში მტკიცედ შეუდგნენ ორ წელიწადში სამი დოლის მიღებისათვის მზადებას.

შარშან ბრიგადამ მეორე დოლი ადრე დაიწყო და მიმდინარე წლის დაწყებამდე 700 დედაცხვრიდან 725 ბატკანი გამოზარდა. წელს დედაცხვრებს, იალაღებზე ყოფნის დროს განერბავენ იმ ვარაუდით, რომ მესამე დოლი დაიწყონ ნოემბერში; შვიდწლედის მეოთხე წელს კი ხელახლა შეუდგებიან ამ მეთოდით მუშაობას.

შვიდწლედის მესამე წელი წელგამართული ნაბიჯით შემოვიდა იფრისპირეთშიც. გიორგი ბაცაცაშვილს სახელოვანი შრომისათვის აღაფრთოვანებს ისიც, რომ მან მონაწილეობა მიიღო ამიერკავკასიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირში და მოუსმინა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას. გ. ბაცაცაშვილმა თავის მამაც კოლექტივთან ერთად ვალდებულება აიღო სკკპ XXII ყრილობის გახსნისათვის გადაჭარბებით შეასრულოს ცხვრის სულადობისა და ხორცის წარმოების გეგმები.

მიდის შვიდწლედის ხალისიანი შრომით აღსავსე მშვიდობიანი დღეები და გ. ბაცაცაშვილის ბრიგადის წევრები მწყემსის ალალი მარჯვენით ამრავლებენ საკოლმეურნეო დოვლათს.

ხაბჭოთა ადამიანების საგმირო საქმე იყო და იქნება ჩვენი შემოქმედებითი მუშაობის შთაგონების წყარო. მთასა და ბარში, ზღვასა და ხმელეთზე, ომსა და მშვიდობიან შრომაში მამაც საბჭოთა ადამიანებს არა ერთხელ უსახელებიათ დედასამშობლო. პირველი კოსმონავტის იური გაგარინის გმირობამ კი საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია მთელს მსოფლიოში.

კალმისა და ფუნჯის ოსტატებმა მრავალი შთაგონებული ნაწარმოები უკვე მიუძღვნეს კოსმოსის პირველ დამპყრობს, მის სიმამაცესა და გამბედაობას. ქართველმა მოქანდაკემ ზ. ზაუტაშვილმა სულ მოკლე დროში შექმნა საბჭოთა კავშირის გმირის იური გაგარინის შესანიშნავი სკულპტურული პორტრეტი. საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისადმი მიძღვნილი სამხატვრო გამოფენის მრავალ საინტერესო ექსპონატს შორის მნახველები კმაყოფილებით ათვალიერებენ ამ საყურადღებო ნამუშევარს.



ეროვნული ბიბლიოთეკა



**ქართველი მწერლების ჯგუფი 1938 წელს.**
**(ლიტერატურული მუზეუმი. საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენიდან).**

# დღეს ზარაფს ვკითხე

**სერგეი ესენინი**

(ციკლიდან „სპარსული მოტივები“)

დღეს ზარაფს ვკითხე, მივაპყარ თვალი,
მას უყვარს გაცვლა-გამოცვლა ფულის:
სპარსულად როგორ მივმართო ლალის,
ავუხსნა ტურფას მე სიყვარული?!

დღეს ზარაფს ვკითხე, მივაპყარ თვალი,
მივანდე გული უმწუხრვალესი:
როგორ მივმართო მშვენიერ ლალის,
„მაკოცე!“ —ვუთხრა ნაზი ალერსით?!

კვლავ ზარაფს ვკითხე, მივაპყარ თვალი,
შევკრთი და თითქოს დამება ენა:
როგორ მივმართო მშვენიერ ლალის,
მას როგორ ვუთხრა „ჩემი ხარ შენა?!“

ზარაფმა მოკლედ ეს მიპასუხა:
სიყვარულს განა სიტყვები უნდა...
როს გიყვარს, ჩუმად ოხრავ და სწუხარ,
თვალნი ანთია მწველ იაგუნდად.

კოცნას სახელი როდი სჭირდება,
კუბოს წარწერა იგი არ არი,
წითელ ვარდივით კოცნა იშლება,
ბაგეზე დნება კოცნა ალალი.

სიყვარულს, ნეტავ, რად უნდა ფიცი,
მას ვუზიარებთ სიხარულს, დარდსა...
„ჩემი ხარ!“ — ხელმა ამის თქმა იცის,
როცა ჩამოხსნის მაგ შავ-შავ ჩადრსა.

თარგმანი ვახიდ ლეჟერაშვილისა.

# პეპლები და ცეცხლი

როდესაც პრემიერ-მინისტრმა მაკმილანმა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სავარძელში ბატონი ჰიუმი დაასკუპა, ლონდონის „დეილი მირორმა“ აღნიშნა, რომ ეს „...ყველაზედ უგუნური პოლიტიკური დანიშვნაა იმპერატორ კალიგულის დროიდან, რომელმაც მის საყვარელ ცხენს კონსულის წოდება მიანიჭაო“.

რა დააშავა ხიუმმა? განა მის ხუთ საგრაფოში სასახლეების კედლებს არ ამშვენებს რაინდების ტანსაცმლით შემოსილი წი-



ნაპრების პორტრეტები? ნუთუ ინგლისელები აღარ უწევენ ანგარიშს იმას, რომ ჰიუმი გრაფისა და სამი ბარონის ტიტულის მფლობელია?

ლორდ ჰიუმს ძალიან უყვარს პეპლების ჭერა, ჩიტების ფრენის თვალისდევნება, კრიკეტის თამაში.

მაგრამ მარტო ამით როდი ამოიწურება ბატონი ჰიუმის ძვირფასი თვისებები. „დეილი მეილის“ მოწმობით ის „მარჯვე მსროლელია... მან კარგად იცის ორაგულის ჭერა სატყუარით“. მკითხველო, გვაპატიეთ, მაგრამ არც აქ შეიძლება წერტილის დასმა. მოვუსმინოთ თვით პატივცემულ მინისტრს: „ხშირად, — ამბობს ჰიუმი, — მე ბევრი მილაპარაკია, მაგრამ არაფერი მითქვამს“.

მშვენიერი თვისებაა დასავლეთის დიპლომატისათვის. მარტო თვისებაა? არა. ინგლისის პერი იძულებულია პირში წყალი ჩაიგუბოს. ომამდე ჩემბერლენის ერთგული მეგობრობა, აქტიური მონაწილეობის მიღება მისი შეფის საუბრებში ჰიტლერთან ბერხტესგადენსა და მიუნხენის კონფერენციაში — მოკლედ რომ ვთქვათ — სამარცხვინო კაპიტალია.

რა ქნას ჰიუმმა, თუ წარსულში სულით და გულით ჰიტლერთან იყო, ახლა კი დასავლეთ გერმანიის რევანშისტებთან არის?

გერმანელმა ფაშისტებმა ვერ შესძლეს მეორე მსოფლიო ომის დროს ბრიტანეთის კუნძულებზედ ჯარისკაცების გადასხმა, სამაგიეროდ ახლა, ნატოს საშუალებით ამერიკის შეიარაღებული ძალების წაქეზებით და ბრძანებით, ლორდი ჰიუმი ცდილობს ქურდულად პატარა ჟანგიანი გასაღებით დიდი ბრიტანეთის კარების გაღებას გერმანელ ნეოფაშისტების წინაშე.

ეს კი ჭეშმარიტად ცეცხლთან თამაშია. სჯობს ვურჩიოთ ბატონ ჰიუმს, ისევ პეპლებით გაირთოს თავი. ცეცხლთან თამაში სახიფათოა. სახიფათოა მონადირისა და პეპლების სიცოცხლისათვის.

ჩაუფიქრდით იმას, თუ როგორ აღნიშნა მშვიდობისმოყვარე ხალხმა 9 მაისი.

დააკვირდით, რა ცვლილებები მოხდა ჩვენს პლანეტაზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

იქნებ მოვიგონოთ ზოგიერთი რამ ახლო წარსულიდან?

შიხაკო



# საფრთხეთ ზღვები

ერთხელ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დროს კაპიტან-ლეიტენანტი იაროსლავ იოსელიანი თავისი გემით შეუმჩნევლად შეიპარა მტრის ნავსადგურში. სანაპიროსთან იდგა ოთხი გემი, ბუქსირი, ხოლო ნაპირზე -- სამი მძიმედ დატვირთული სატვირთო მანქანა. გემებზე და სანაპიროზე გერმანელები ფუსფუსებდნენ. ის-ის იყო გემების გადმოტვირთვა დაეწყოთ. აქ უშიშრად მიიჭრა ი. იოსელიანის წყალქვეშა ნავი. რამდენიმე წამში მან მოასწრო ყველაფრის დათვალიერება: სამიზნო გემის ამორჩევა, დამიზნება და გასროლა. მტრის უზარმაზარი გემი აფეთქდა, მას მოჰყვა იქვე, სანაპიროზე მდგომი ავტომანქანების აფეთქებაც.

როცა გერმანელები გონს მოვიდნენ, მამაცი საბჭოთა მეზღვაურის ნავი უკვე აღარ ჩანდა. მაგრამ მტერი მაინც დაედევნა მას სატორპედო კატერებით და თვითმფრინავებითაც კი. რამდენიმე საათის შემდეგ გერმანელები დამშვიდდნენ: რაც მოხდა, მოხდა და მეორედ ხომ არ მობრუნდება ის თავხედი ნავიო. მაგრამ უშიშარი საბჭოთა მეთაური „თავხედურად“ კვლავ შეიჭრა მტრის ბაზაში.

მას ახლა ჯავრი ჰქონდა იქ დარჩენილი დიდი ტრანსპორტისა, რომელიც პირველი თავდასხმისას უვნებლად გადაურჩა. საბჭოთა წყალქვეშა ნავზე კვლავ გაისმა მამაცი მეთაურის ბრძანება. მას მოყვა ახალი აფეთქების ხმა და მტრის ტრანსპორტმა ჩაძირვა იწყო. მტერი მოულოდნელობისაგან პანიკამ მოიცვა. მაგრამ მალე საბჭოთა წყალქვეშა ნავს სატორპედო კატერები დაედევნენ. რამდენიმე საათის განმავლობაში წყალქვეშ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო გაჩაღებული. საზრიანი მანევრირებით ი. იოსელიანმა კიდევ ერთი კატერი ჩასძირა.

ახლა უფრო გააფთრებით მიიტანეს იერიში მამაცი მეთაურის ნავზე და უანგარიშოდ უშენდნენ სიღრმის ყუმბარებს. ხშირი აფეთქებებისაგან ზღვა დუღდა. იოსელიანის მამაცი ეკიპაჟი იძულებული იყო დაეზოგა ტორპედები და მოფიქრებული მანევრირებით თავს აღწევდა მტერს. გერმანელი „მონადირეები“ საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა წყალქვეშა ნავი ჩასძირეს და ეს თავიანთ სარდლობასაც აუწყეს. მართლაც, „მალიუტკა“, სერიოზულად დაზიანდა, მაგრამ იოსელიანი ახლა ამაზე ნაკლებად ფიქრობდა. ის შესაფერ მომენტს უცდიდა, რომ დარჩენილი ტორპედით მტრის კიდევ ერთი კატერი ჩაეძირა. ასეც მოხდა: რამდენიმე საათში უშიშარი კაპიტანი თვითონვე გამოუდგა მტერს და ახლო მანძილიდან ზუსტი გასროლით გერმანელთა კიდევ ერთი სატორპედო კატერი ჩასძირა. ეს რომ გერმანელთა სარდლობამ გაიგო, თავგზა დაებნა: არ დაიჯერა, რომ ეს უდიდესი ზარალი მხოლოდ ერთმა წყალქვეშა ხომალდმა მიაყენა მათ.

ომის წლებში იაროსლავ იოსელიანის გმირობაზე გაზეთი „პრავდა“ წერდა: „იოსელიანს სატორპედო ზალპის ოსტატს ეძახიან. მაგრამ უპირველეს ყოვლისა იგი განსაცვიფრებელი მონადირეა, მას უნარი აქვს უთვალთვალოს მტრის ხომალდს და შესაფერი მომენტი აირჩიოს იერიშისათვის. იგი მუდამ ისწრაფვის საბრძოლველად შეხვდეს მოწინააღმდეგეს, მუდამ ეძებს მტერს და კიდევაც პოულობს.“

ერთხელ იოსელიანმა ზღვაში აღმოაჩინა მტრის ქარავანი. მიდიოდა 2 ათასი ტონა წყალწყვის ტრანსპორტი; მას იცავდა 12 კატერი და ორი თვითმფრინავი. იოსელიანი ზედ მიადგა ტანკერს და ორი ტორპედა ესროლა, ტანკერმა ჩაძირვა იწყო. გერმანელები 10 საათის განმავლობაში დასდევდნენ ნავს. მათ ჩამოჰყარეს 84 სიღრმის ბომბი. ნავში ჩაქრა ელექტრო შუქი. აქა-იქ წყალმა შეჟონა, ნავი დანაღმულ არეში მიდიოდა და ყოველ მეტრზე დაღუპვა ელოდა. 10 საათის შემდეგ ნავი გაუსხლტა დევნას. იოსელიანი იგონებს:

„ეს 10 საათი კარგ ათი წლის სიცოცხლეს უდრიდა. მე ვიცნობდი ადამიანებს, რომლებიც ასეთი განსაცდელის შემდეგ გაჭაღარავებულან, მაგრამ ჩემი არწივები როდი გაჭაღარავდნენ.

ზოგიერთი სამხედრო პირი ამბობს: მამაცს ვერცხლი აქვს საფეთქლებზე და მკერდზეო. ჩემს ყოველ არწივს მკერდზე ოქრო და ვერცხლი აქვს, ისინი ყველანი ორდენოსნებია, მაგრამ ჭაღარა კი არც ერთისთვის არ შემიმჩნევია".

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 16 მაისის ბრძანებულებით იაროსლავ კონსტანტინეს ძე იოსელიანს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. იგი დაჯილდოებულია მთავრობის მრავალი საბრძოლო ორდენითა და მედლით, არჩეული იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ი. იოსელიანი ერთ ხანს მეთაურობდა წყალქვეშა ნავს „საბჭოთა სვანეთს", რომელიც გმირი წყალქვეშელის საჩუქრად სვანი მოსახლეობის თანხით აიგო. ი. იოსელიანმა ამ ნავითაც მოკლე დროში მტერს დიდი ზარალი მიაყენა. იაროსლავ კონსტანტინეს ძე ერთ-ერთი უაღრესად განათლებული საბჭოთა მეზღვაურია. იცის ინგლისური, ფრანგული, გერმანული, და ესპანური ენები. იგი ავტორია საყურადღებო გამოკვლევისა „საბჭოთა საზღვაო ფლოტი დიდ სამამულო ომში" და მრავალი წერილისა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიისა და მხატვრული ლიტერატურის საკითხებზე. საბჭოთა მკითხველი მას დიდი ხანია იცნობს თავისი ავტობიოგრაფიული ხასიათის წიგნით „წყალქვეშელის ჩანაწერები". უკანასკნელად რუსულ და პოლონურ ენებზე ი. იოსელიანის რამდენიმე წიგნი გამოიცა. ამ დღეებში ჩვენი მკითხველი ქართულ ენაზე მიიღებს მის ახალ წიგნს „ცეცხლი ოკეანეში".

ქართველი ხალხის სახელოვანმა შვილმა იაროსლავ იოსელიანმა სამამულო ომის შემდეგ დაამთავრა თავდაცვის სამინისტროს გენერალურ შტაბთან არსებული სამხედრო აკადემია და დღესაც ერთგულად ემსახურება ჩვენი ძლევამოსილი სამშობლოს თავდაცვის საპატიო საქმეს.

**ოლღა იოსელიანი**

---

# დნეპრის გმირი

(ჟურნალისტის უბის წიგნაკიდან)

**პეტრე შამათავა**


ეროვნული ბიბლიოთეკა

„**სოფელ** ქვედაში, როგორც იქნა „აღმოვაჩინე" საბჭოთა კავშირის გმირი გიორგი მაისურაძე—შავგვრემანი, პატარა ტანის, — დიდი გმირი. გამოვესაუბრე. ვთხოვე მოეყოლა დნეპრის გადალახვაში მონაწილეობის შესახებ რაიმე. გიორგის თვალები გაუბრწყინდა, მართლაც რომ ის ცოცხალი, მხიარული მობაასეა, მაგრამ ამავე დროს რა თავმდაბალია ეს გმირი. უნდა ჩავიწერო, რომ არ დამავიწყდეს მის მიერ მოყოლილი ამბავი.

— 1943 წლის აგვისტოსა და სექტემბერში, — იგონებდა გ. მაისურაძე,— ჩვენი ნაწილი მდინარე დნეპრს მიადგა. ყოველ საბჭოთა მეომარს კარგად გვესმოდა, რომ აუცილებელი იყო მდინარის გადალახვა, რათა მოწინააღმდეგისათვის საშუალება არ მიგვეცა დნეპრის მარჯვენა ნაპირზე გამაგრებულიყო და წესრიგში მოეყვანა წინა ბრძოლებში თავისი შეთხელებული ნაწილები. ასე გვაცნობდნენ ჩვენი მეთაურები ფრონტის ამ უბანზე შექმნილ მდგომარეობას და საგულდაგულოდ გვამზადებდნენ მორიგი პასუხსაგები და დიდმნიშვნელოვანი საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად.

სულ უფრო ახლოვდებოდა ის დრო, როცა უნდა შევსდგომოდით დავალების შესრულებას. ჩვენ, მეომრებმა ვიცოდით, რომ გერმანელთა სარდლობას განზრახული ჰქონდა საიმედო თავდაცვითი ზღუდეების მოწყობა დნეპრის მარჯვენა ნაპირზე. საბჭოთა ჯარისკაცებს ზემდგომი სარდლობის გეგმის შესაბამისად დავალებული ჰქონდათ, რაღაც არ უნდა დასჯდომოდათ არ მიეცათ მტრისათვის დნეპრზე გამაგრების საშუალება და ჩაეფუშათ მისი მაცდური გეგმები.

დნეპრის სწრაფი და მოულოდნელი გადალახვისათვის საგულდაგულოდ ემზადებოდნენ ჩვენი ფრონტის ნაწილები, თვითეული საბჭოთა მეომარი. ამ მძიმე ოპერაციის ჩასატარებლად აუცილებელი იყო პარტიზანების და მეთევზეთა ხელშეწყობისა და დახმარების უნარიანი გამოყენება. მზადების დღეებში მეთაურმა მკითხა, თუ რა ხელობა მქონდა. დურგლობა ვიცი-მეთქი მოვახსენე უფროსს. ოფიცერმა მოიწონა ჩემი პასუხი და ამხანაგებთან ერთად დამავალა რამდენიმე ნავის გაკეთება და მეთევზეებისაგან მიღებული ნავების შეკეთება. ჩვენ ეს დავალება დროზე და პირნათლად შევასრულეთ. ამით ჩვენი მცირედი, მაგრამ ამ დროს ძალიან საჭირო წვლილი შევიტანეთ დნეპრის გადალახვისათვის მზადებაში. ნაწილში ყველაფერი მზად იყო ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის. რამდენჯერმე ვცადეთ მოტყუებითი ოპერაციის ჩატარება, რომ გზა-კვალი აგვებნია მოწინააღმდეგისათვის და სათანადო წვრთნაც მიგვეღო.

1943 წლის 7 ოქტომბერს დაიწყო დიდი სამამულო ომის ისტორიაში ერთ-ერთი შესანიშნავი ოპერაცია — დნეპრზე გადასვლა. დანიშნულ დროზე, ღამის სიბნელეში, სრული საბრძოლო აღჭურვილობით და შესაფერი საბრძოლო მწყობრით, უხმაუროდ მეწინავე სადესანტო ნაწილები ნავებში ჩავსხედით და ვიწყეთ მდინარის გადალახვა მოცემული მარშრუტით. ყველაფერი სწრაფად და მოულოდნელად, მტრისათვის შეუმჩნევლად კეთდებოდა. თვითეულმა ნაწილმა, ასეულმა და მეომარმა იცოდა თავისი ადგილი და ამოცანა ამ დიდმნიშვნელოვანი საბრძოლო დავალების შესრულებაში.

დნეპრის გადალახვის ოპერაციის მონაწილეთა შორის იყვნენ ოთხმოცდამეერთე მსროლელი დივიზიის 519-ე პოლკის ქვეგანაყოფები, მათ შორის ის ასეულიც, რომელშიც მე ვირიცხებოდი. სადესანტო ნავებში ექვს-ექვსი მეომარი იჯდა, რომელთაც ნაპირზე მიღწევისთანავე ელვის სისწრაფით უნდა დაეკავებინათ ნაპირი და მოულოდნელი დარტყმით გაენადგურებინათ იქ გამაგრებული მტერი.

...მოწინააღმდეგე, აფასებდა რა თავდაცვის ამ ზღუდის მნიშვნელობას, ყოველგვარ ზომას ღებულობდა საპასუხო დარტყმით მდინარეში გადაეყარა ჩვენი შემტევი მეწინავე ნაწილები, მაგრამ მტრის ყველა ცდა და ოინი უშედეგოდ დამთავრდა. ნაპირზე ღამის სიბნელეში გადამსხდარმა ჩვენმა მეომრებმა მძაფრი კვეთებით გაანადგურეს ფაშისტების სანაპირო დაცვა და ღრმად შეიჭრნენ მოწინააღმდეგის თავდაცვის სიღრმეში.

არაჩვეულებრივად დაძაბულ ბრძოლაში სწრაფად იცვლებოდა ვითარება. მაშველი ძალების მოსვლამდე ჩვენმა მცირე ჯგუფმა მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა. ჩვენი ათეულის მეთაური მძიმედ დაიჭრა და მწყობრიდან გამოვიდა. დაყოვნება დანაშაული იქნებოდა. ჯარისკაცური წესისამებრ ათეულის მეთაურობა მე ვიკისრე. უმალ შევაფასეთ შექმნილი ვითარება. ერთადერთი გონივრული და შესაძლო გადაწყვეტილება ის იყო, რომ ჩვენი მცირედი ჯგუფით, უნარიანად, მოხერხებით და სწრაფად გვემოქმედა ღამის სიბნელეში. განვსაზღვრეთ ჩვენი მოქმედების ორიენტირი, მოვახდინეთ მოწინააღმდეგის თავდაცვის წინა კიდის დაზვერვა. მებრძოლები გავანაწილე ათი-თხუთმეტი მეტრის დაშორებით, ყველას მივუჩინე მოქმედების არე და თოფ-ტყვიამფრქვევის მცველავი ცეცხლით შეუჩერებლივ განვაგრძეთ ბრძოლა პლაცდარმის დასაკავებლად და გასაფართოებლად.

მალე მაშველმა და მთავარმა ძალებმა იწყეს დნეპრის გადალახვა. შენაერთები ქვეითი ჯარით, არტილერიითა და ტანკებით გადმოდიოდნენ ახლად შექმნილ პლაცდარმზე.

პლაცდარმის შენარჩუნებისა და გაფართოებისათვის ცხარე ბრძოლებში ოქტომბრის შუა რიცხვებში მძიმედ დავიჭერი და იძულებული გავხდი დროებით დამეტოვებინა მშობლიური პოლკი, მებრძოლი ასეული. მაგრამ მალე კვლავ დავუბრუნდი საბრძოლო მწყობრს... შემდეგ კი გამარჯვებული ჩამოვედი მშობლიურ სოფელში.

მართლაც რომ ყოველ ფრონტელ მეომარს თავის საბრძოლო-ჯარისკაცულ ბიოგრაფიაში აქვს ნათელი, მთელ ცხოვრებაში მარად დასამახსოვრებელი საბრძოლო ეპიზოდი, რომელიც მის ადამიანურ ღირსებას ამშვენებს, საამაყოა და დაუვიწყარი".

სოფ. ქვედა, 1958 წ. სექტემბერი.



# მწვანე ხავერდის გმირებს

როცა ბორისი ინჟინრის დიპლომით თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელ ქარხანაში მივიდა, მოხუცი დარაჯი გაკვირვებით შეეგება:

— ერთი ამას დამიხედეთ, წვერულვაში ჯერ ხეირიანად არც კი ამოსვლია და უკვე ინჟინერი გამხდარა. მოდი, შვილო, კაი ბიჭი ჩანხარ, აქ ისეთი ჩინებული ოსტატები არიან, რომ თუ მოინდომებ, მალე სახელოვანი კაცი გახდები... განაპირა კორპუსს ხომ ხედავ, იქ არის დირექტორის კაბინეტი. იმასთან უნდა მიხვიდე, საქმეს გამოგიჩენს...

შვიდწლედის პირველ წელს ბორისს დიდი ხნის ნატვრა აუსრულდა: ამწყობ საამქროში ოსტატად გადაიყვანეს.

მეორე დღეს ბორისი ყველაზე ადრე მივიდა საამქროში.

— ჩვენთან ხომ არ გადმოსულხარ სამუშაოდ? — დაინტერესებით შეეკითხნენ საამქროს მუშები.

—დღეიდან თქვენთან ვარ, თქვენი იმედით გავბედე აქ გადმოსვლა...

ახალგაზრდა ინჟინერმა რამდენიმე დღის შემდეგ პატარა თათბირი მოაწყო.

— ჩვენი საწარმო დიდი ამოცანების წინაშე დგას, — თქვა ბორისმა, — მოკლე დროში უნდა ავითვისოთ რამდენიმე ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანის წარმოება. თვითეულ ჩვენგანს ეს დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს, ჰოდა, იმის მეტი სხვა რაღა დაგვრჩენია, რომ გაორკეცებული ძალით შევეჭიდოთ საქმეს.

საამქროს მთელმა კოლექტივმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ბორისს. ახალი ენერგიით გაჩაღდა მუშაობა. ძმურ შემოქმედებით შრომაში გადიოდა დღეები და თვეები...

ქარხნის კოლექტივმა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ნაყოფიერი მუშაობა გასწია, აითვისა მთელი რიგი ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება. ამ საქმეში პატარა წვლილი როდი მიუძღვის ახალგაზრდა ინჟინერს ბორის ჭანტურიას. დაკვირვებული მუშაობით, საქმისადმი ერთგულებით მან მალე დაიმსახურა საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა. იგი საამქროში სამთო ტრაქტორის (თვითმავალი შასის) ამწყობი უბნის უფროსად გადაიყვანეს.

ქარხნის კოლექტივს დავალება მიეცა აითვისოს და მასობრივად გამოუშვას ჩაის პლანტაციებში სამუშაო სამთო ტრაქტორი (თვითმავალი შასი). ამ რთულ და პასუხსაგებ დავალებას ქარხნის მთელი კოლექტივი დიდი მონდომებით მოეკიდა, თუმცა ერთ ხანს შეფიქრიანდნენ, ვაითუ ნდობა ვერ გავამართლოთო.

დიდხანს ფიქრობდა ბორისიც, ეცნობოდა სამუშაო ნახაზებს, ცალკე ესაუბრებოდა გამოცდილ ზეინკლებს.

ახალგაზრდა ინჟინრის გამჭრიახობამ, მთელი კოლექტივის თავდადებამ და საქმის სიყვარულმა თავისი გაიტანა. 1959 წლის პირველ ნახევარში ააწყვეს და გამოუშვეს პირველი საცდელი ტრაქტორები, რომლებიც ჩაის პლანტაციებში გაგზავნეს გამოსაცდელად.

ღელავდა ქარხნის კოლექტივი, მაგრამ საბედნიეროდ გამოცდამ ბრწყინვალედ ჩაიარა, ტრაქტორი სრულყოფილი გამოდგა. მიიღეს ნებართვა მისი სერიულად წარმოებისათვის. 1959 წელს ტრაქტორების გამოშვების დავალება ქარხნის კოლექტივმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა. ამწყობი უბნის ნაყოფიერ შრომას მაღალი შეფასება მისცა ქარხნის ხელმძღვანელობამ და მას კომუნისტური შრომის სახელწოდება მიანიჭა.

ამ წარმატებამ კიდევ უფრო აღაფრთოვანა ეს ახალგაზრდა კოლექტივი და 1960 წელს ორჯერ გაზარდა ტრაქტორების გამოშვება.

— ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვმა ქართულ ჩაის მსოფლიოში საუკეთესო უწოდა, — ამბობს ბორისი, — ჩვენი რესპუბლიკის სახელოვანმა მეჩაიეებმა წელს 165 ათასი ტონა ნედლეული უნდა მისცენ სამშობლოს. ამ საპატიო ამოცანის წარმატებით შესრულებაში კი ჩვენმა კოლექტივმაც უნდა შეიტანოს თავისი წვლილი. ძალასა და ენერგიას არ დავზოგავთ, რათა მეჩაიეები შეუფერხებლად მოვამარაგოთ მაღალხარისხოვანი ტრაქტორებით. ჩვენი კოლექტივის სახელით შემიძლია მტკიცე რწმენა გამოვთქვა, რომ თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხანა ახალი მიღწევებით შეეგებება სკკპ XXII და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობებს.

ზ. ჯავახიშვილი

ფოტო შ. ხხეტიანისა.

ეს ვერცხლის წყალივით დაუდეგარი ქალიშვილი, საამო ღიმილი რომ დასთამაშებს სახეზე, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს" მოწინავე მეჩაიე მერი ქარდავაა.

ვარდობის თვის თაკარა მზეზე როცა ზღვასავით მოახვავა ჩაის ლორთქო დუყები, როცა 165 ათასი ტონა „მწვანე ოქროს" მისაღებად სახალხო ლაშქრობა დაიწყო, — მთელს რესპუბლიკაში დაირხა კომკავშირელი მეჩაიეს მერი ქარდავას პატრიოტული მოწოდების ხმა:

— ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ შარშანდელთან შედარებით შვიდწლედის მესამე წლის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ ნახევარი ტონით მეტი ნედლეული მოვკრიფოთ.

ჩაის ფრონტზე მებრძოლმა კოლმეურნეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ამ შესანიშნავ ინიციატივას. მათ კარგად იციან რომ მერის წინადადების პრაქტიკულად განხორციელება ერთ-ერთი რეალური და საუკეთესო საშუალება იქნება გამარჯვების მისაღწევად.

ჰოდა, ემღერება ნოვატორ მეჩაიეს, ალალი გულით ემღერება, რომ სამშობლოს საკეთილდღეოდ მასაც მიუძღვის წვლილი.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ს. ხრუშჩოვი

ნახ. უჩა ჯაფარიძისა.



საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების 40 წლისთავთან დაკავშირებით მოწყობილ მხატვრული ფოტოგრაფიის გამოფენაზე წარმოდგენილი 51 ავტორის 147 სურათი ღრმად ასახავს საბჭოთა ადამიანის შრომას, ცხოვრებას, დასვენებას და მის გარემომცველ ბუნებას. ტექნიკურად მაღალ დონეზე შესრულებული და კომპოზიციურად საინტერესო ნამუშევრები წარდგენილია საკავშირო ფოტოგამოფენაზე „შვიდწლედი მოქმედებაშია“, რომლებიც დიდ ყურადღებას და მოწონებას იმსახურებენ.



ფოტოზე: 1. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი სერგო ზაქარიაძე
ფოტო ა. ბ ა ლ ა ბ უ ე ვ ი ს ა
2. დასილოსება. ფოტო ნ. ა ნ ა ს ტ ა ს ი ე ვ ი ს ა
3. ვერ გაიყვეს. ფოტო შ. გ ო ქ ა ძ ი ს ა
4. უკანასკნელი რეისი. ფოტო ვ. რ უ ს ე ც კ ი ს ა







თბილისის ხედი



ქართველი ქალის პორტრეტი

# მხატვარი გაგარინი და საქართველო

კავკასიაში სამხედრო სამსახურის დროს გრიგოლ გრიგოლის ძე გაგარინი არაერთხელ სწვევია თბილისს. ის დაუახლოვდა იმდროინდელ მოწინავე ინტელიგენციას, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და სხვათა ოჯახებს.

1848 წ. გაგარინი ჩამოვიდა საქართველოში და თბილისში ცხოვრობდა 1853 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში ღრმად შეისწავლა ჩვენი აწმყო და წარსული, შეიყვარა ქართველი ხალხის ისტორია და ლიტერატურა. გაგარინი ერთნაირი გატაცებით სწავლობს ბეთანიის ფრესკებს, საუკუნეთა განმავლობაში შემონახულ არქიტექტურასა და ორნამენტებს და ამის ნიადაგზე ქმნის ქართული ნაციონალური თეატრის ინტერიერს, სიონის განახლებულ ფრესკებს და ალბომებს, რომლებმაც გარკვეული როლი შეასრულეს ჩვენი ქვეყნის მატერიალური კულტურის ძეგლთა პოპულარიზაციისათვის. გაგარინი გატაცებით ხატავს თბილისს, სიღნაღისა და მანგლისის ხედებს, ჩვენს თვალუწვდენელ, ამაყსა და გოროზ, მიუვალ მთებს, თერგსა და მტკვარს, არ არღვევს ეთნოგრაფიულ ზნეჩვეულებებს. რამდენი სიყვარული და პატივისცემა უნდა ჰქონოდა მხატვარს ჩვენი ხალხისადმი, რომ ასე რეალურად გადმოეცა მისი მოხდენილი დეტალები.

ე. ალექსანდრია
ხელოვნების მუზეუმის
რუსული ხელოვნების განყოფილების გამგე



თბილისი



ცეკვა „ქართული“



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბ. ბელინსკი და ნ. გოგოლი.

საბჭოთა ხალხი, პროგრესული კაცობრიობა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნავენ ბესარიონ ბელინსკის დაბადების 150 წლისთავს.

## ბელინსკი ამბობდა:

„გენიოსი არასოდეს წინ არ უსწრებს თავის დროს, მაგრამ ყოველთვის გამოიცნობს ხოლმე მის შინაარსსა და აზრს, რაც ყველასათვის ნათელი როდია“.

* * *

„პოეზია, უწინარეს ყოვლისა, არის ცხოვრება, ხოლო შემდეგ უკვე ხელოვნება“.

* * *

„დიდი პოეტისათვის არ არსებობს იმაზე უფრო დიდი პატივი, ვიდრე ის, რომ იყოს უაღრესად ნაციონალური, იმიტომ, რომ სხვანაირად იგი არც შეიძლება დიდი იყოს“.

* * *

„ხელოვნება, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს, რომ მწერალი თავისი ბუნების, თავისი ნიჭის, თავისი ფანტაზიის ერთგული იყოს“.

* * *

„რაც უფრო მაღლა დგას გენიოსი, მით უფრო მეტად არის ის თავისი საუკუნის შვილი და თავისი სამყაროს მოქალაქე“.

* * *

„რაც უფრო დიდია პოეტის გენია, მით უფრო ღრმად და ვრცლად სწვდება იგი ბუნებას და მით უფრო მეტი წარმატებით წარმოგვიდგენს მას მისი უმაღლესი კავშირისა და სიცოცხლის სახით“.

# პატიოსნის დედოფალი

ორდე დგებუაძე — მ ო თ ხ რ ო ბ ა*) — ნახ. კ. მახარაძისა

— მით უკეთესი, თუ კეთილი და პატიოსანია, დაგვეხმარება,— უფროსი შედგა, მრავალმნიშვნელოვნად შეხედა მელორეს, გაუღიმა,—რაღაც უნდა ვთხოვოთ თედოს, სხვა რა საქმე უნდა გვქონდეს შენს ძმა-კაცთან?—გაიცინა, ხელი გაუწოდა.

—პატიოსნებაში მთელი სოფელი დაემოწმება... თუ რამე შეუძლია, არ დაგვზარდება, პატიოსანია, მე და ჩემმა ღმერთმა...—არ გვეშვებოდა მასპინძელი სანამ ეზოდან არ გავედით და ჭიშკარი არ მივიხურეთ.

ერთ ხანს უხმოდ ვიარეთ. კარგად ვიცოდი, რომ უფროსი ფასანაურში გამგზავრებას და ოჩიაურის ნახვას შემომთავაზებდა. კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ ფიქრს თავი გაართვა და ისე ჩამხედა თვალებში, თითქოს რაღაც გადაავიწყდა და უნდა მოიგონოსო. მერე შედგა და,—რა აზრისა ხარ იმ ქალზეო, მკითხა.

— აბა, რა მოგახსენოთ, ერთის შეხედვით, ისიც მიცვალებულზე, რა ითქმის?!

— მე განა კანტაკუზენის ქალზე გეკითხები? რაისა მინდიაშვილის ქალი მაინტერესებს.

რაისა მინდიაშვილი! მე ხომ ეს ქალი ბედის უკუღმართობისაგან გაუბედურებულ ქალად შევიცანი? და მეც ის ვთქვი, რასაც ვგრძნობდი, რაც მჯეროდა.

— თუ მას მართლა პატიოსანი ცხოვრება სწყურია, ჩვენ ხელს გავუწვდით,—მითხრა და ნიკაპი მოისრისა,—ოღონდ, ახლა ხელმეორედ ისე მოხერხებულად უნდა გაეცნო, ისე სიამტკბილობით უნდა გამოუტყდე ყველაფერში, როგორც დაუნათესავდი.

— მერე?—ვკითხე და ვიგრძენი, თუ როგორ მომედო ალმური სახეზე. თვალწინ წარმომიდგა გაოცებული რაისა, მისი შიშჩამდგარი ლამაზი თვალები. აშკარად ვხედავდი, თუ როგორი მორიდებით იხევდა უკან იმედგაცრუებული ქალი. მართლაც, რად უნდა გამკვირებოდა, გზააბნეულ ქალს სუნთქვა თუ შეეკვრებოდა, როცა ნათესავის ნაცვლად გამოვეცხადებოდი სულ სხვა, სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების მუშაკი.

— მერე ისა, რომ,—ცოტა ხნის მერე დაარღვია სიჩუმე უფროსმა,—რახან მოგენდო, შენ უნდა უმკურნალო სნეულს,—ჩაილაპარაკა და ალმაცერად გადმომხედა,—აკი ამბობდი, შველა უნდა, დახმარებაო. ჰოდა, უშველე, დაეხმარე. აბა რისი მაქნისი ხარ. სხვა რა მოვალეობა გაკისრია, ჩემო კარგო!

მართალი იყო უფროსი. ჩემთვის ახალი ამბავი არ იყო ის, რასაც ეს კაცი ამბობდა, მაგრამ ამ შემთხვევაში სინდისი მქენჯნიდა რატომღაც, ამავე დროს გული არ მანებებდა:—მიდი თამამად, ყველაფერში გამოუტყდი და ხელი გაუწოდეო, მეუბნებოდა.

მართლაც სხვა რა მაკისრია?! მე ხომ აგურს აგურზე არ ვაწყობ, სახლს არ ვაშენებ? მდინარეებზე ხიდებს არა ვდებ, არხები არ გამყავს. მაგრამ მეც ხომ დიდ საქმეებს ვაკეთებ.

რაისას ნახვა მომინდა. ახლა რატომღაც უფრო მაწუხებდა, უფრო მაწვალებდა ამ ქალის ბედი და მეგონა, რომ ახლა, ამ წუთს მას უჩემოდ ძალზე უჭირდა, უჭირდა და ჩემს გამოჩენას მოუთმენლად ელოდა.

ჩვენები შემოგვეგებნენ.

მოკლულის გვამი მანქანაზე ესვენა.

უფროსი დიდხანს იდგა უხმოდ, ჭირისუფლის ნაღვლიანი თვალებით მისჩერებოდა უდროოდ დაღუპულს. ტუჩზე იკბინა, ამოიოხრა და მე მომიბრუნდა.

— შენ რომ ნამგზავრი არ იყო და დასვენება არ გინდოდეს, ცხელ კვალს გაჰყვებოდი, ოჩიაურს ნახავდი, იქნებ საგულისხმო რამ ეთქვა იმ კაცს.

— ასეთ დროს დაღლა რა სახსენებელია, ამხანაგო უფროსო! დღესვე უნდა ვნახო ოჩიაური, იქნებ გზად შეხვდა ვინმე საეჭვო.

— ფული გაქვს?

— მაქვს.

— მაშ, იჩქარე. აგერ მანქანა. გარდა ოჩიაურისა, იქნებ სხვა ვინმესაც წააწყდე. აქ კი, კანტაკუზენის ვინაობას პირტახია დაადგენს,—უფროსმა თავისი მანქანის მძღოლს გადახედა, ნიშნად იმისა, რომ წავსულიყავით.

...მზე ჯერ კიდევ მაღლა იდგა, როცა ჩვენმა „ფორდმა“ გზატკეცილიდან განიერ შუკაზე გადაუხვია და ერთსართულიანი სახლის ჭიშკართან გაჩერდა. დიასახლისი გამოგვეგება. ტანადმა ქალმა ლობეზე მედიდურად გადმომდგარ ნაგაზს შეუტია და ჭიშკარი ფართოდ გააღო.

თედო მოვიკითხე.

— ჩემი კაცი განთიადისას მოვიდა და სძინავს, ახლავე გავაღვიძებ,—თქვა ფერდაკარგულმა დიასახლისმა და შინ შეტიპატიჟა. მაგრამ მანქანიდან გადმოსულს არ დამელოდა, დაბნეულმა ანგარიშმიუცემლად გაიღიმა, შებრუნდა და სახლს მიაშურა.

მალე მასპინძელიც გამოჩნდა. ახალგაზრდა შავგვრემან კაცს ტყავის წამოსასხამი მოეგდო, თავზე ნაცრისფერი გა-[illegible] ეხურა. ნელი ნაბიჯით [illegible] საფეხურები ჩამოლია თუ არა, თვალი დამადგა, დამაკვირდა. ვერ მიცნო. ჭიშკართან შედგა, მოგვესალმა, ამხედ-დამხედა, მერე მინდობილის იერით გაიღიმა:

— აქ რას უდგეხართ, შინ მობრძანდით, თქვენი ჭირიმე.

მყუდრო ეზოში ტალავერისაკენ გავწიე. მასპინძელი არ მომყვებოდა, მძღოლს არ ეშვებოდა, შინ შემოდიო, ეხვეწებოდა. მეჩქარება-მეთქი, ვუთხარი მასპინძელს და ვთხოვე შინ შემყოლოდა. ოჩიაური შეეჭვდა, მოთვინიერდა. მძღოლს თავი დაანება. ტალავერამდი ისე მიმყვა, რომ არაფერი უკითხავს. სკამზე მოვიკეცე, მასპინძელი გვერდით მოვისვი. პორტსიგარი გავუწოდე. თედომ პაპიროსი მორიდებით აიღო და ვინაობა მკითხა. როცა გაიგო ვინც ვიყავი, ცოტათი აილეწა, მაგრამ, კეთილიო, მითხრა და შუბლი ნერვიულად მოისრისა.

— ვიცი დამეხმარები და მეც სწორედ ამიტომ გამოვიარე ეს შორი გზა,—ვუთხარი, როცა ორთავემ თუთუნი გავაბოლეთ და მასპინძელმა სული მოითქვა.

— თუ კაცს არ დავეხმარე, რისი მაქნისი ვარ!—მოთმინება არ ყოფნიდა, მაგრამ ცდილობდა მშვიდად ყოფილიყო,—მითხარი რამ შეგაწუხა და როგორ დაგზარდები!

— მე შენი წუხანდელი მგზავრობის ამბავი მაინტერესებს,—მივუგე მშვიდად.

გაუკვირდა, ეჭვის თვალით შემომხედა. მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა.

— წუხანდელი მგზავრობის ამბავი!

— ღამე ორთვალაზე იმგზავრეთ, არა?

— დიახ, ქალაქიდან წამოსულს დიდუბეში შემომადამდა... მაგრამ თქვენ რატომ კითხულობთ?..

არ დავაცალე სიტყვის დასრულება.

— ჩვენ ერთი ქალის ბედი გვაწუხებს. უგზო-უკვლოდ დაკარგული ქალის ბედი,—არ მინდოდა მკვლელობის შესახებ მეთქვა რამე, რომ ზედმეტი სიფრთხილე არ გამოეჩინა, არ დამფრთხალიყო.

— მერე, მე რა მეკითხება?!—თითქოს იწყინაო მასპინძელმა, მაგრამ ის ღიმილს მაინც არ იშორებდა. ალბათ, ჩემი, როგორც სტუმრის, ერიდებოდა.

— ყური დამიგდე,—მივმართე მშვიდად და განვაგრძე,—ის ქალი, ვის შესახებაც მინდა ცოტა რამ გკითხო, გუშინ საღამოს სახლიდან გასულა და შინ არ დაბრუნებულა. ერთმა მისმა ნაცნობმა შეგვატყობინა, რომ ამ ქალს დაღამებულზე სამხედრო გზით მიმავალს მოუკარი თვალიო,—გულგრილობა რომ გამომეხატა პაპიროსი მოვიშველიე და განვაგრძე,—ამ ქალის მშობლები გავლენიანი ხალხია და ისეთი ამბავი ატეხეს, რომ არ ვიცი, ღმერთმანი...—ამოვიოხრე, მხრები უკმაყოფილოდ ავიჩეჩე, ხელები გავასავსავე,—ის სალაღათ-დასაქცევი იქნებ თავის გულის მურაზთან განცხრომაშია და ჩვენ კი მეძებრებივით

---

*) დასაწყისი იხ. ჟურნ. „დროშა“ № 4.

ფოტოეტიუდი გ. რაზმაძისა.

დაგვარბენინებენ,—შუბლი შევიკარი. თავი მოვისაწყლე და ოდნავ გასაგონი ხმით დავძინე,—ეჰ რას იზამ, ასეთია ჩვენი ხელობა.

მასპინძელმა შემიცოდა, თუ ქალის დაკარგვის ამბავმა დააინტერესა, არ ვიცი, მაგრამ ყურები დაცქვიტა, ახლოს მომიჩოჩდა და თვალებში ჩამაცქერდა:

— ფეხით მიდიოდაო სამხედრო გზაზე?

— დიახ, ფეხით, უცნობი მამაკაცი ახლდაო,—ვუპასუხე „უგულოდ“.

— სახელი თუ იცით ამ ქალისა?

— სახელად ზინაიდას ეძახიანო.

თედო ისე შეხტა, თითქოს ეკალი შეესოო და ანგარიშმიუცემლად წამოიძახა:

— ნამდვილად ის არის. ახალგაზრდა, მაღალი, შავგვრემანი ქალი. ბროლივით თეთრი კბილები აქვს. ხუჭუჭი თმები, მოწითალო ფერის პალტო ეცვა, ხომ მართალია?—მკითხა და მუხლზე ისე დამკრა გაშლილი ხელი, დიასახლისი რომ არ გამოჩენილიყო უთუოდ დავიკვნესებდი.

სტუმარი სახლში შემოიყვანეო, ანიშნა ქალმა თედოს, მაგრამ მასპინძელმა თანხმობის ნიშნად უსიტყვოდ დაუქნია თავი.

— ამ ქალს მცხეთაში წამოვეწიე,—განაგრძო თედომ,—ორი მამაკაცი მიჰყვებოდა. მე ისინი ოციოდე კილომეტრი ვატარე ჩემი ორთვალათი. ქალს ზინაიდას ეძახდნენ... ზინაიდას... მამის სახელი...

— ნიკოლოზი ხომ არაა?

— დიახ, ნიკოლოზის ასულიო.

— რუსულ ენაზე ხომ არ საუბრობდნენ?—ვკითხე, ახლა თითქოს უფრო მეტად დაინტერესებულმა.

— დიახ რუსულ ენაზე... მათი ნათქვამიდან ბევრი რამ დამამახსოვრდა.

— მაინც?

— ყველაფერს, აბა, როგორ დავიმახსოვრებდი?!—ერთ ხანს ჩაფიქრდა, მერე ქოჩორი მოიფხანა,—ისინი ორჯონიკიძეში მიდიოდნენ. ქალი, ჩემი ორთვალას სიჩქარით არ იყო კმაყოფილი. თუ ასე ვიარეთ, ორჯონიკიძემდე მთელი წელიწადი ვერ ჩავალთო, ჩიოდა.

— მამაკაცები რაღას ამბობდნენ?

— მანქანა წამოგვეწევაო, აიმედებდნენ. მხიარულ გუნებაზე იყვნენ. ერთი მათგანი მაღალი იყო, სქელი ულვაში ჰქონდა, მოჟღალო; დამამახსოვრდა მისი კეხიანი ცხვირი. მელოტი იყო. წვრილი ხმა ჰქონდა...

—ნუთუ მისი სახელი არც ქალს წამოსცდენია და არც მამაკაცს? —წამოვიძახე მოუთმენლად, თითქოს მეცნო ეს მაღალი, მელოტი კაცი, ისეთმა წინათგრძნობამ შემიპყრო, მეცნო კი არა, თითქოს ის ჩემი დიდი ხნის ნაცნობი ყოფილიყოს.

— მაღალი კაცის სახელი, რატომღაც არავის უხსენებია, მეორეს კი საშუალო სიმაღლის, შავულვაშა, ჩასხმულ კაცს, ბორის დანილის ძეს ეძახდნენ.

ბორისი—ჩასხმული აგებულების, ნახშირივით შავულვაშა. მისი ამხანაგი—მაღალი, მოჟღალო სქელი ულვაშით. პირველი ხომ ბორის საიდოვია, სიონის ტაძრის ოთხთითა გმირი. მეორე ვინ უნდა იყოს, თუ არა სერგეი სტასი? გულმა სიხარული ვერ დაიტია და ისე ამოვისუნთქე, თითქოს წელში გაწყვეტილს მძიმე ტვირთი მომხსნესო



ზურგიდან. ალბათ, ვერც სახემ დაფარა ეს უზომო სიხარული.

მასპინძელმა კმაყოფილებით ჩაიცინა.

— ჰოდა, ბევრი ილაპარაკეს,—განაგრძო გულშეჯერებულმა მასპინძელმა,—იოხუნჯეს. ქალი ჩქარობდა, ორჯონიკიძიდან დედას უნდა ვუდეპეშო, თორემ გაგიჟდებაო, ამბობდა. მერე...—თვალები მოჭუტა ოჩიაურმა, შუბლი მოისრისა,—მერე, მე მგონი, არაფერი ისეთი არ უთქვამთ, კაცს რომ დამახსოვრებოდა.

— და ისინი, სანამ თქვენ ნაცნობ მელორესთან შეისვენებდით, ორთვალიდან გადმოვიდნენ, არა?

მელორის ჯიხურამდე ჯერ კიდევ ათიოდე კილომეტრი გზა იყო დარჩენილი.

— გასაგებია,—ვუპასუხე და წამოვდექი. მეჩქარებოდა. ახლა თვითეული წუთი ძვირფასი იყო ჩემთვის. მე ამ ორეულისთვის ორჯონიკიძეში უნდა მიმესწრო, თორემ, მერე, ვინ იცის, კიდევ როდის დავადგებოდი მათ კვალს. ქალაქი, სადაც მე ისინი მეგულებოდა, არც ისე დიდი იყო და თუ ჩავუსწრებდი, მათი მოძებნა არ გამიჭირდებოდა.

ფასანაურიდან პირდაპირ ორჯონიკიძეში წასვლა ვიფიქრე, მაგრამ გულმა არ დამანება. რატომღაც რაისა მინდიაშვილის ნახვა მომინდა. იქნებ ამ ქალს ბოშებისა და კანტაკუზენის ურთიერთობაზე ეთქვა რამე? რაისა იქნებ ამ ავაზაკების ორჯონიკიძელ მასპინძლებსაც იცნობდა?

მასპინძელს ხელი გავუწოდე, მშვიდობით დარჩენა ვუსურვე, მაგრამ თედოს ჩემი ასე „მშრალად“ წასვლაზე ლაპარაკიც არ სურდა. როგორ, მაშ მე კაცჲ არა ვყოფილვარო, მითხრა და მკლავზე ხელი წამატანა. გავძალიანდი. მასპინძელს ფერი ეცვალა, შეურაცხყოფილმა კუშტად შემომხედა და,—პატიოსნებას გაფიცებ, აბუჩად ნუ ამიგდებ, ოჯახი დამილოცეო, მითხრა გაბზარული ხმით.

სხვა რა გზა იყო, მძლოლი ვიხმე. სახლში შევირბინეთ. სახელდახელოდ გაშლილი სუფრა მაცდუნებლად გამოიყურებოდა, მაგრამ ჩვენ დაჯდომა არც კი გვიფიქრია, ზეზეურად ორ-ორი ჭიქა არაყი გადავკარით, ოჯახი და მასპინძლები ვადღეგრძელეთ. როცა მანქანაში ვჯდებოდით, დიასახლისმა მრგვალად მოხარშული დედალი და ერთი ბოთლი არაყი მომაწოდა, თედომ შოთი პურები გამოარბენინა, თბილისამდი მოგშივდებათო, გვითხრა და გზა დაგვილოცა.

...განყოფილების შენობის კიბე სულმოუთქმელად ავირბინე და უფროსის კაბინეტში დაუკითხავად შევედი.

ის, ვისთანაც მომეჩქარებოდა, საწერ მაგიდას მისჯდომოდა და ფოტო-სურათებს ათვალიერებდა. როგორც კი დამინახა,—გაირინდა, ამხედ-დამხედა, მერე სახეზე მომაჩერდა, შემატყო, რომ კარგი ამბავის მახარობელი ვიყავი და მშვიდად მიმითითა სავარძელზე.

ყველაფერი ვუამბე.

—დაყოვნება არ შეიძლება, იქნებ მივუსწროთ,—ჩავილაპარაკე და ჩაფიქრებულს მოუთმენლად მივაცქერდი.

უფროსმა უსიტყვოდ აიღო ტელეფონის ყურმილი, ორჯონიკიძის სისხლის სამართლის სამხედრო განყოფილების უფროსი გამოიძახა და ჩრდილო-კავკასიელ კოლეგას საქმის ვითარება აუხსნა. მერე დასაძებნი პირების გარეგნობა ზუსტად აუხსნა და სთხოვა დაუყოვნებლად მიეღოთ საჭირო ზომები. ყურმილი დადო, მრავალმნიშვნელოვნად შემომხედა:

— მეც კარგად მესმის დაყოვნება რომ არ შეიძლება, მაგრამ შენს მაგივრად ვინ უნდა წავიდეს, არ ვიცი ღმერთმანი...

— ჩემს მაგივრად?

— ამდენი დღის მოუსვენარი მგზავრობის შემდეგ, როგორ შემიძლია ისევ შენ და პირტახიას შეგთავაზოთ ასეთი რთული ოპერაცია?

უფროსი მართალს ამბობდა, მაგრამ ასეთ დროს დაღლა რა მოსატანი იყო?! ნადირობიდან დაბრუნებული რომელი მონადირე იტყვის უარს გარჯაზე თუ ეზოში მგლის ახალ კვალს წააწყდება?

მე ახლა ჩემი მეუღლისთვის მინდოდა შემევლო თვალი, ჩემს მოუსვენარ ცხოვრებას შეჩვეულს წუთით მაინც მივალერსებოდი, ჩემი პატარასთვის გიშრის თვალები დამეკოცნა და მერე, ჰაიდა იქეთ, საითკენაც დაუდგრომელი გული მიიწევდა. პირტახიასაც სწორედ ამგვარი ფიქრი აწუხებდა. არც ის გრძნობდა დაღლილობას, იმასაც საიდოვი და სტასი ელანდებოდა. სანამ მე თედო ოჩიაურს მოვინახულებდი, ზინაიდა კანტაკუზენის შესახებ, ვლადიმერს ძუნწი ცნობები შეეკრიბა. მოკლული, დედინაცვალთან ერთად ძერჟინსკის ქუჩაზე ცხოვრობდა თურმე. შუახნისა და ახალგაზრდა კანტაკუზენებს მეორე სართულზე სამი ოთახი ეჭირათ. ამ ოჯახის ბინადარნი თურმე ისეთ კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდნენ, რომ კარის მეზობლებმაც კი არ იცოდნენ, რა იყო მათი ვარამი, ვინ ჰყავდათ გულშემატკივარი, სად მუშაობდა ახალგაზრდა კანტაკუზენი, რაზე ფიქრობდა, რას ესწრაფვოდა ეს საამო ალნაგობის ქალიშვილი.

ევდოკია კანტაკუზენი თავის პატარა გერით 1919 წელს ყირიმიდან თბილისს გადმოსახლდა საცხოვრებლადო, ეწერა საბინაო დავთარში.

კიდევ ბევრი რამ სჭირდებოდა ძიებას; ევდოკიასი—ამ ერთადერთი ჭირისუფლის დაკითხვაც აუცილებელი იყო, მაგრამ არც მე და არც პირტახიას ამისათვის არ გვეცალა. ევდოკია კანტაკუზენთან შეხვედრა უნდა გადაგვედორაისა მინდიაშვილის უნახავადაც ვერ გავყვებოდით საიდოვისა და სტასის კვალს.

უნდა მენახა ის. მაგრამ როგორ? რა უნდა მეთქვა? მე, მის ბიძაშვილს, იურისკონსულტს, რაში დამჭირდა ორჯონიკიძეში საიდოვისა და სტასის ნაცნობების მისამართი? რაში მაინტერესებდა იცნობდნენ თუ არა ისინი კანტაკუზენების ოჯახს?

რატომ უნდა მეკითხა, ამ ბოშებს ორჯონიკიძეში თუ არა, სხვაგან სად შეეძლოთ გადამალვა?

იქნებ შეიძლებოდა ამ გულისხმაში ჩავარდნილ ქალისაგან ყველაფრის გაგება? მაგრამ ამისათვის დრო იყო საჭირო. იქნებ ერთი დღე მაინც, იქნებ ორი, სამი და იქნებ სამჯერ სამი და მერე ეგებ შემძლებოდა იმის თქმაც თუ ვინ ვიყავი და რამ მაიძულა მინდიაშვილი გავმხდარიყავი. შეუძლებელი არაფერი იყო. რატომ არ შეიძლებოდა შეცბუნებული ქალი ერთგულებაში დამერწმუნებინა და ჩემი უფრო გულღია მეგობარი გამხდარიყო?!

(გაგრძელება იქნება)

# მიხეილ კალინინი თბილისში

ყოფილი ავჭალის (ამჟამად ოქტომბრის) ქუჩის № 28 სახლზე მარმარილოს თეთრი მემორიალური დაფა გვაუწყებს, რომ „ამ სახლში 1900 წელს ცხოვრობდა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე მიხეილ ივანეს ძე კალინინი“.

მ. ი. კალინინის თბილისში ჩამოსვლისა და მასზე პოლიციის განსაკუთრებული მეთვალყურეობის დაწესებაზე ადგილობრივმა მმართველობამ დაუყოვნებლივ აცნობა პეტერბურგს. 20 ივნისს თბილისის პოლიცმეისტერმა მ. ი. კალინინს ჩამოართვა ხელწერილი, რომლის მიხედვითაც მას არ ჰქონდა ქალაქიდან გასვლის უფლება და მისამართის შეცვლის ყველა შემთხვევა უნდა ეცნობებინა პოლიციისათვის.

1900 წლის აგვისტოს დამდეგს რკინიგზის მთავარი სახელოსნოების და დეპოს მუშებმა (მ. ი. კალინინი მაშინ სახელოსნოებში ხარატად მუშაობდა) მოაწყვეს გაფიცვა, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მ. ი. კალინინი იყო. რკინიგზელების გმირულმა ბრძოლამ სხვა ფაბრიკა-ქარხნებისა და დაწესებულებების მუშებიც აამოქმედა. მალე გაფიცულთა რიცხვი 4 ათასამდე გადიდდა. 6 აგვისტოს თბილისში გამოცხადდა სამხედრო წესები. მთავრობამ მხოლოდ 15 აგვისტოს შესძლო გაფიცვის ჩაქრობა. დაპატიმრებულთა და სამუშაოდან დათხოვნილ მუშათა რიცხვმა 900-მდე მიაღწია.

მ. ი. კალინინი რკინიგზის მთავარი სახელოსნოებიდან დაითხოვეს, მაგრამ ის განაგრძობს აქტიურ რევოლუციურ საქმიანობას, მიხეილ ივანეს ძე საიდუმლოდ მიემგზავრება პეტერბურგში არალეგალური ლიტერატურის ჩამოსატანად. თბილისში დაბრუნების შემდეგ მ. ი. კალინინმა სოციალ-დემოკრატიული წრე ჩამოაყალიბა, რომელშიც შედიოდნენ ქართველები, რუსები და სომხები.

რამდენიმე ხნის შემდეგ მ. ი. კალინინმა მოახერხა მოწყობილიყო იარაღოვის მექანიკურ ქარხანაში ხარატად. მეფის „ოხრანკა“ მ. კალინინის ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებდა. რევოლუციური მოღვაწეობისა და აგვისტოს გაფიცვებში აქტიური მონაწილეობის მიღების გამო, 1900 წლის 29 დეკემბერს მ. ი. კალინინი დააპატიმრეს და მოათავსეს მეტეხის ციხეში განსაკუთრებით მკაცრი რეჟიმის საკანში. მ. ი. კალინინს ციხეშიც არ შეუწყვეტია რევოლუციური მუშაობა პატიმართა შორის. ჟანდარმები ცდილობდნენ გამოერკვიათ, რა კავშირი ჰქონდა მუშათა რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილ ხელმძღვანელებთან მ. ი. კალინინს, რომელიც „ჩაცკის“ ფსევდონიმით რუსეთის სხვადასხვა ქალაქში მიმოწერას აწარმოებდა, მაგრამ ამაოდ. ჟანდარმერიამ კალინინის წინააღმდეგ „საქმე“ ვერ შექმნა, რადგან დანაშაულის დასამტკიცებლად პირდაპირი ბრალდება არ ჰქონდა.

1901 წლის 22 თებერვალს მ. ი. კალინინი ციხიდან გამოუშვეს, მაგრამ 1901 წლის მარტში გაიცა განკარგულება, რომლის ძალითაც მ. ი. კალინინი პოლიციის აშკარა ზედამხედველობის ქვეშ უნდა ყოფილიყო 3 წლის განმავლობაში. მას ეკრძალებოდა საუნივერსიტეტო ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში, მათ შორის თბილისში ცხოვრება.

მ. ი. კალინინის გადასახლება დააჩქარა იმან, რომ პოლიციამ ეჭვი მიიტანა მის ფარულ კავშირზე ვ. კ. კურნატოვსკისთან და სხვა გამოჩენილ რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატებთან.

1901 წლის 19 მარტს მ. ი. კალინინი გამოეთხოვა თავის მეგობრებს და თბილისიდან რეველში გაემგზავრა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ივანეს ძე კალინინმა თბილისში ყოფნისას მრავალფეროვანი მუშაობა გასწია სოციალ-დემოკრატებსა და მუშათა მასებში თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

მ. ი. კალინინს მხურვალედ შეუყვარდა ქართველი ხალხი. 1940 წლის 29 ივნისს მ. ი. კალინინმა თბილისში ყოფნაზე თავის მოგონებაში აღნიშნა: „მე მიყვარს საქართველო. იგი შემიყვარდა მას შემდეგ, რაც პირველად ჩამოვედი საქართველოში, ე. ი. როდესაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვიყავი... ქართველმა ხალხმა, საქართველოს მუშებმა ჩემში სიმპათიის ისეთი შთაბეჭდილება დატოვეს, რომ აი ახლა, როდესაც უკვე 40 წელი გავიდა, ეს შთაბეჭდილება ჩემს გულში მტკიცედ ცოცხლობს“.

ზ. გოგიძე

# ჩინარების ხეივანში

ალ. სიგუა

ფიჭვები, ნაძვები, ჩინარები, ვარდ-ყვავილები, გვირილა, მიმოზა, იასამანი, დეკორატიული მცენარეები. აი, ამ ბაღნარის შუაგულში ჩაფლულა თბილისის ბავშვთა პირველი ინფექციური საავადმყოფოს ორსართულიანი შენობა. ეზოში პატარა ბუთხუზა ბავშვები დაბაჯბაჯებენ, ზოგი დედის მკერდს ეთამაშება, ზოგი კიდევ გაშლილ ყვავილზე დამჯდარ ფუტკარს დასდევს დასაჭერად. ბავშვი ლაღია, ლამაზი და უდარდელი, როგორც ის თეთრად გაშლილი ყვავილი და არ იცი, რომელი რომელს ამშვენებს, ყვავილი ბავშვს, თუ ბავშვი ყვავილს. ბაღში ჩინარის ქვეშ თეთრხალათიანი მწყაზარი ვაჟკაცი დგას და პატარა ბავშვს ეალერსება.

— ჩემო მეგობარო, ხომ ვერ მეტყვით, სად იქნება საავადმყოფოს მთავარი ექიმი! — თეთრხალათიანს ოდნავ გაეღიმა და მორიდებით მითხრა, — წამობრძანდითო.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენ შევედით მთავარი ექიმის სამუშაო ოთახში. სწორედ ეს თეთრხალათიანი მწყაზარი ვაჟკაცი დავით იაშვილი აინტერესებდა ჟურნალ „დროშის“ თანამშრომელს. ის მხიარულ და ლირიკულ განწყობილებაზე იყო და გავდა იმ ბავშვს, რომლის შესახებ ნიკოლოზ ბარათაშვილი წერდა:

„მიყვარს, მიყვარს, მე
ტიკტიკი ჩვილის ყრმის,
მიყვარს სმენა უცნაურისა მის
ხმის,
ოდეს იგი ენითა სასუფევლის
უალერსებს წიაღთა თავის
მშობლის!“

ანდა როგორ შეიძლება ის იყოს კუშტი, გულჩათხრობილი, როდესაც მას გარს ახვევია სიცოცხლით აღსავსე ბავშვები! ექიმთან ერთად ავადმყოფ ბავშვთა პალატაში შევედი. ათვალიერებ პალატას და გრძნობ, რომ აქ დიდი მზრუნველი და მოსიყვარულე ადამიანები მუშაობენ, სითბო და სიყვარული იგრძნობა ბავშვების მოვლა-პატრონობაში. ალბათ, ამით იყო გამოწვეული, რომ როდესაც დავით იაშვილი პალატაში შევიდა, ბავშვებს გამოცოცხლება დაეტყოთ. ექიმი მივიდა ერთი ავადმყოფის საწოლთან, ბავშვს დაუყვავა და შემდეგ პალატის ექიმს უთხრა:

— ბავშვი ამ დღეებში უნდა გამოიწეროს საავადმყოფოდან და მიეცით უფლება ბაღში ისეირნოს.

— „დროშის“ რედაქციას აინტერესებს, თუ როგორია თქვენს კლინიკაში სამედიცინო მომსახურება და რა ახალი მიღწევებია გამოყენებული ბავშვთა მედიცინაში, — შევეკითხეთ ჩვენ.

— ჰო, ეს მეტად საინტერესო კითხვაა და მოიცავს ყველაფერს იმას, რასაც ჩვენი კლინიკა ემსახურება, — ბავშვთა მკურნალობა საბჭოთა მედიცინაში, — განაგრძობს დავით იაშვილი, — მაღალ საფეხურზე დგას. ახალი სამედიცინო მიღწევებით ბავშვთა მკურნალობამ დიდი შედეგი მოგვცა და ამიტომ სიკვდილიანობაც იშვიათი შემთხვევაა. მსოფლიოში ჩვენი ქვეყანა პირველია, რომელიც ეწევა ბავშვთა არა მარტო კლინიკურ მკურნალობას, არამედ კლინიკის გარეთაც ზრუნავს მათი ჯანმრთელობის დაცვისათვის. ჩვენს კლინიკაში მკურნალობენ სხვადასხვა ეროვნების ბავშვები: ქართველები, რუსები, უკრაინელები, სომხები, აზერბაიჯანელები, მოლდაველები, — ექიმი უცებ შეჩერდა, დაუძახა მორიგეს და თხოვა ყოფილი ავადმყოფის ივანოვის ისტორია მოეტანათ.

მას ავადმყოფის ისტორიის კითხვა დიდხანს არ გაუგრძელებია და გვიამბო ასეთი ეპიზოდი:

1943 წელს ჩვენს კლინიკაში იშვიათი შემთხვევა მოხდა. ორჯონიკიძიდან ჩამოიყვანეს სამი წლის მომაკვდავი ბავშვი. ჩვენ მას ვუპატრონეთ, მოვუარეთ და

(გაგრძელება მე-16 გვ.)

ფოტო გ. ხომახურიძისა



ექიმი დ. იაშვილი სინჯავს ავადმყოფ ბავშვს.

# რატომ არ გძინავს?

მიხეილ ჯიბლაძე

მოთხრობა

— ფრანჩესკო, საყვარელო, შეხედე ჩვენს ბავშვებს!... შენ მათ ბედზედ აღარა ფიქრობ? ნუთუ მათი ღიმილი, ცელქობა, ჩვენი პაწაწინების ტირილი შენზე სრულებით არ მოქმედობს? — ეპიფანია ლუსსუმ დაფარულად, ისე, რომ ფრანჩესკოს არ შეემჩნია, ცრემლი მოიწმინდა და ქმარს მიაპყრო შავი, ლამაზი, ნამიანი თვალები.

— მერე, ჩემო გოგონავ — ხვალ, ხვალ დილით ვილაპარაკოთ ამაზე, — წაიბუტბუტა ფრანჩესკომ, ეპიფანიას ზურგი შეაქცია და რამდენიმე წუთის შემდეგ ხვრინვა ამოუშვა.

ეპიფანიას ძილი არ ეკარებოდა, მისი დატანჯული, ნაღვლიანი და მწუხარებით სავსე



გული ვერ ისვენებდა, მზად იყო ამოვარდნილიყო მკერდიდან და ცრემლების ზღვაში ჩაძირულიყო.

მხოლოდ დღეს, დიახ, ამ ბედკრულ საღამოს, ეპიფანიას პირველად გაუელვა იმ აზრმა, რომ ფრანჩესკო, ალბათ, შემთხვევით არ ამბობს უარს მათი შვილების იურიდიულად გაფორმებაზე. „არც მუნიციპალიტეტში მომყვება, არც ეკლესიაში, თორმეტი წელია მხოლოდ იმას ლაპარაკობს, რომ ყველაფერს თავის დროზე მოესწრებით. მაგრამ დრო ხომ მიდის?! ბავშვები უკანონოდ დაბადებულად ითვლებიან. როდემდე შეიძლება ასე ცხოვრება? არც საკუთარი კუთხე, არც პური, არც თავისუფლად სუნთქვის უფლება“, — ფიქრობდა ეპიფანია.

— ოჰ, ღმერთო, რა დაგიშავე ისეთი, რომ ასე მაწვალებ? — ღრმად ამოიოხრა მან. ფრანჩესკომ ხვრინვა შეწყვიტა, თვალები გაახილა, ეპიფანიასაკენ გადმობრუნდა, მის მარმარილოსავით თეთრ, მაღალ გულმკერდს ნაზად ეამბორა და ოდნავ ნამძინარევი ხმით შეეკითხა:

— რატომ არ გძინავს, ჩემო გოგონავ? რაიმე გაწუხებს?

ეპიფანია შეკრთა. შეკრთა? არა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, შეეშინდა, შეეშინდა, რომ ფრანჩესკოს ალერსი, საყვარელ ადამიანის ხმის გაგონება, მასში აღარ იწვევდა ისეთ თრთოლვას, როგორც უწინ.

— შენ მართლა გინდა იცოდე ჩემი გულის ტკივილი? — ეპიფანია წამოიწია, მიეყრდნო საწოლის ზურგს, მიაშტერდა ქუჩიდან ქურდულად შემოპარულ სინათლის ზოლს, — გეტყვი, ფრანჩესკო, ყველაფერს გეტყვი, არაფერს დავმალავ. გახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა? მაშინ ხომ მხოლოდ თექვსმეტი წლისა ვიყავი? საწყალი დედაჩემი სიკვდილის წინ მეუბნებოდა — „შვილო, წადი რომში... იქ აუცილებლად იპოვი სამუშაოს. ერთ რამესა გთხოვ, გემუდარები... გაუფრთხილდი საკუთარ თავს. დიდ ქალაქებში იმდენი უპატიოსნო მამაკაცია, რომ შენი ბავშვობა და სილამაზე აუცილებლად მიიქცევს რომელიმე ვიგინდარის ყურადღებას, შენს სინდისს უბრალოდ ნუ გაყიდი“... მე არ შემეძლო მაშინ მოვქცეულიყავი სხვანაირად. ჩვენს სოფელ დალიანოვში მოჯამაგირეობას, აქ რომში შინამოსამსახურეობა ვარჩიე. ჩამოვედი რომში. იცი როგორ მეშინოდა ყველა მამაკაცის? მაგრამ შენ რომ შეგხვდი, ყველაფერი დამავიწყდა. მე ხომ არ ვიცი არც წერა, არც კითხვა, არაფერი. მე მხოლოდ სული და სხეული გამაჩნია. შენ კარგად იცი, ფრანჩესკო, რომ რაც კი მებადა, ყველაფერი თავდავიწყებით შენ შემოგწირე. ოჰ, როგორ მიხაროდა ექვსი წლის წინათ ჩვენი ჯორჯანოს დაბადება. გიყურებდი შენ, ვტკბებოდი ჩვენი პაწაწინას ცქერით და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. შემდეგ დაიბადა ფრანკო, პაოლა... შენ კი, რატომღაც კვირაში მხოლოდ სამი ღამე იყავი ჩემთან. გელოდებოდი, ვოცნებობდი იმ დღეზე, როდესაც ჩვენი ბავშვები ხილარიბის მოწმობას აიღებდნენ... ახლა კი რა ვქნათ, ფრანჩესკო? შენ კარგად გესმის, ჩვენ ეს მოწმობა არ გაგვაჩნია და ამიტომ არა გვაქვს უფლება დახმარება მოვითხოვოთ, — ეპიფანიამ მძიმედ ამოიხვნეშა, ფრანჩესკოსაკენ გადმობრუნდა და უცებ ისტერიულად გადიხარხარა... მის მეუღლეს ტკბილად ეძინა. სასწაულად ის იყო, რომ ამჯერად ის არ ხვრინავდა.

დილით ეპიფანია ფრანჩესკოს თვალს არიდებდა.

— ჩემო გოგონავ! წუხელ ბავშვებზე, შენს გრძნობებზე მელაპარაკებოდი, — ფრანჩესკო ჩამოჯდა პატარა მაგიდასთან, — მინდა ერთი რამ გირჩიო... ჰმ! წადი ვიკტორეში... ეს დაბა კარგია. იქ ბევრი ჩემი მეგობარი ცხოვრობს. ახლა ახლომახლო სოფლებში მუშაობაა გაჩაღებული... სულ ცოტა ხანში მეც ჩამოვალ და ბოლო მოეღება შენს ტანჯვაწამებას, სწორედ იქ მიიღებენ ჯორჯანო, ფრანკო და პაოლა ხილარიბის მოწმობებს...

ფრანჩესკოს აზრი, მისი სურვილი კანონი იყო ეპიფანიასათვის. რამდენიმე დღის შემდეგ მან მიატოვა კალატოზის ბინაში ნაქირავები ოთახი და ვიკტორეში გაემგზავრა.

ოთხი თვის განმავლობაში ეპიფანია რეგულარულად ღებულობდა ფრანჩესკოსაგან წერილებს და ხუთ-შვიდ ათას ლირას. ეს ფული მას ჰყოფნიდა მხოლოდ იმისათვის, რომ ბავშვებს ყოველდღე ჰქონოდათ რძე და მაკარონი. ერთხელ ეპიფანიას ფოსტალიონმა დეპეშა მოუტანა, განა მას ოდესმე დაავიწყდება ის ბედშავი დილა?! ფრანჩესკო წერდა: „ორივე ფეხი გადატეხილი მაქვს. ვწევარ წმიდა სულის საავადმყოფოში“.

— რა ვქნა, ხალხო? მიშველეთ!—იკივლა საწყალმა ქალმა. ეპიფანიას უბედურებამ მეზობლები ძლიერ შეაწუხა. დაბის მერიც მოვიდა. ამ პატარა ტანის კაცს ყველამ იმედის თვალით შეხედა.

— რას მომჩერებიხართ?! — წამოიყვირა მან; — განა არ იცით ჩვენი კანონი? ჯორჯანო უკვე მეორედ არის ავად, ეგ და გვაკლდა... სწორედ ახლა მოუნდა მის უცნაურ მამას ფეხების მტვრევა! მე ხომ ერთხელ უკვე დავეხმარე ამ ქალბატონს! თქვენ კარგად იცით, რომ ეპიფანიას უკანონო შვილები ჰყავს, მას არ გააჩნია ხილარიბის მოწმობა, მაგრამ მე მაინც გავეცი წამლების ფული. რა ვქნა კიდევ?—გაფითრებული მერი ხკამზე ჩამოჯდა, — როცა ჯორჯანო გამოჯანმრთელდება, მოველაპარაკები ჩვენი აფთიაქის პატრონს, ვთხოვ ცოტა ხნით ადროვოს ეპიფანიას ვალი და მისცეს საშუალება თავის საყვარელ ფრანჩესკოს შეხვდეს რომში.

— ოჰ! გმადლობთ, ჩემო ბატონო, ჩემო მხსნელო!

პატარა ოთახში მყოფ იტალიელებს თვალები აუცრემლდათ, ზოგიერთმა მათგანმა ქუჩაში გასვლა დააპირა, სულ მთლად დაბნეული, ცრემლებისაგან თვალებგაწითლებული, შავთმებგაშლილი ეპიფანია მერს ხელებს უკოცნიდა. გულაჩუყებულმა მერმა ძლივს გაითავისუფლა ხელები, წამოდგა და აღელვებული ხმით თქვა:

— ხვალ რომში ერთი კაცი მიდის. მე ვთხოვე მას, გაიგოს შენი ფრანჩესკოს ამბავი და

ყველაფერი დაწვრილებით გვაცნობოს.

ჯორჯანომ რამდენიმე დღის შემდეგ მოიკეთა. მერმა ეპიფანიას ფრანჩესკოზე ახალი ვერაფერი უთხრა. ახალგაზრდა ქალმა იმავ საღამოს რომში გამგზავრება გადაწყვიტა.

წვიმდა. ეპიფანია წვიმის გადაღების მოლოდინში ბავშვებთან ერთად ტურმინის სადგურზე შეჩერდა. დაახლოებით ორმა საათმა განვლო. „არა, მეტი ცდა აღარ შეიძლება. ვთქვათ და მთელი ღამე იწვიმოს?“ ერთი წამით შეწყვიტა ნერვიული სიარული, ორი წლის პოალა ხელში აიყვანა...

— ქალბატონო! განა შეიძლება ასეთ წვიმაში ბავშვების გარეთ გაყვანა? — მოსაცდელ დარბაზში მჯდომი ქალის ეს შეკითხვა ეპიფანიამ უპასუხოდ დასტოვა. „ჩქარა, რაც შეიძლება მალე უნდა ვნახოთ ფრანჩესკო. ვინ იცის, რა დღეშია?! ღმერთო, ღვთისმშობელო, გადამირჩინე ჩემი ფრანჩესკო! კარგია, რომ ბავშვები ჩამოვუყვანე... თავზე ხელს გადაუსვამს და უკეთ გახდება“. ეპიფანია არც წვიმას, არც ბავშვების წუწუნს ყურადღებას არ აქცევდა. ის მხოლოდ ფრანჩესკოს გადარჩენაზე ფიქრობდა.

— მამის სიცოცხლე ხომ, ჭეშმარიტად, ბავშვების ბედნიერებაა? შენი კარგად ყოფნაა, ჩემო ჯორჯანო! ხომ ასეა, საყვარელო?

— კი, დედა, კი. მე მამა ძალიან მიყვარს... მხოლოდ... დავსველდი... მალე მივალთ მამასთან?

წმიდა სულის საავადმყოფოს მისაღებ ოთახში ორი ადამიანი იყო: ექთანი და ვიღაც მაღალი, საშუალო ხნის, გამხდარი ქალი. ეპიფანიამ შესვლისთანავე ექთანს მიმართა:

— ჩვენ შორიდან ვართ ჩამოსული, ქალბატონო. ძალიან გთხოვთ შეგვიშვათ ფრანჩესკოსთან... ჩვენ...

— ვისთანო?! რა ბრძანეთ?

ეპიფანია მაღალი, საშუალო ხნის, გამხდარი ქალისაკენ შემოტრიალდა.

— მე მითხარით რამე?—შეეკითხა ის.

— დიახ, თქვენ. გაგიმეოროთ კითხვა?

— არა, რა საჭიროა? ფრანჩესკო ჩემი ქმარია, ამ ბავშვების მამა. ის ავად არის და ჩვენ...

—ქალბატონო, თქვენ ნამდვილად მისამართი შეგეშალათ... ფრანჩესკო უკვე ოცდაორი წელია, რაც ჩემი კანონიერი ქმარია. მას ბავშვებიც საკმაოდ ყავს...

— თქვენ, ალბათ, გეშლებათ. მე ვლაპარაკობ ფეხებმოტეხილ ფრანჩესკო...

— მირიჩინზე, არა?—მაღალი, საშუალო ხნის, გამხდარი ქალი თითქმის ყვიროდა. ეპიფანიას მუხლები მოეკვეცა. მას არ ახსოვს როგორ გამოვიდა საავადმყოფოდან, როგორ მიადგა კალატოზის ბინის კარებს, ის მხოლოდ მიხვდა იმას, რომ კალატოზთან სტუმრები ჩამოვიდნენ საფრანგეთიდან და ამიტომ იქ ღამის გათევა არ შეიძლებოდა. არც ის ახსოვს ეპიფანიას, როგორ მიადგა სასტუმროს კარებს. უკანასკნელი ხუთასი ლირა გადაიხადა იმისათვის, რომ ბავშვები ერთი ღამით დერეფანში მაინც მოეწყო.

— დედა, მშია, დედა, წავიდეთ სახლში, დედიკო, რატომ დავდივართ ამდენი ხანი ქუჩაში?

— მოიცადეთ, თქვენი ჭირიმე, კიდევ ცოტა მოიცადეთ... დაიღალეთ? გინდათ ვითამაშოთ აქ, იმპერატორის ფორუმის ბაღში?

—კი, დედიკო, ძალიან გვინდა. ხომ გვაჭმევ რამეს? — ეპიფანიამ რამდენჯერმე გაიარა მრევლის იქით პატარა სახლის წინ. ამ სახლის რკინის კარებზე წარწერა იყო გამოკიდებული: „უპატრონო ბავშვთა თავშესაფარი“.

„ბავშვებმა უნდა იცოცხლონ. ბავშვები უნდა გადავარჩინო შიმშილისაგან სიკვდილს“,—ეს აზრი არც ერთი წუთით არ შორდებოდა ეპიფანიას. დაღამდა. ეპიფანია პოალას, ფრანკოსა და ჯორჯანოსთან ერთად უპატრონო ბავშვთა თავშესაფართან გაჩერდა.

— ჯორჯანო, საყვარელო, წაიყვანე შენი და-ძმა, აბა, აი, იმ პარმაღზე და კარზე დააკაკუნე. კარგი, შვილიკო?

—კარგი, დედა. ჩვენ წავალთ.., შენ ხომ აღარ იტირებ, მე იქ დავაკაკუნებ და შენც მალე მოხვალ ჩვენთან, არა, დედიკო? ხომ მოხვალ?

— მოვალ, შვილებო, მოვალ, — ეპიფანიას ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. ცოტაღა აკლდა, რომ ხმამაღლა დაეწყო ქვითინი,—მოვალ, ჩემო სიცოცხლევ, საჭმელს მოგიტანთ!..

— დედა, დავიხრჩვი, ეგრე მაგრად რატომ მკოცნი?— პატარა ფრანკოს ტირილი მოერია.

—აბა ჭკვიანად, შვილებო, თქვენი სიცოცხლე თქვენსავე პაწაწინა ხელებშია, — რკინის კარები გაიღო. ეპიფანია მრევლის კედლისკენ გაიქცა და იქიდან დაიწყო თვალ-ყურის დევნება. „ვაიმე, საწყალი პატარა, როგორ მიცოცავს კიბეზე. ჯორჯანო რატომ არ ეშვარება?.. აი, ბავშვები უკვე თავშესაფარის კარებთან დგანან, აკაკუნებენ“..

—ეი, შენ აქ რას აკეთებ? რა გატირებს? ერთმა ფული არ გადაგიხადა და აქ მრევლის კარებთან მეორე მუშტარს ეძებ?

ეპიფანიამ ძლივს მოიცილა მხრიდან პოლიციელის მსუქანი, მძიმე ხელი.

— არა, ბატონო, სერჟანტო, მე ცუდ გუნებაზე ვიყავი, და... სასეირნოდ გამოვედი.

პოლიციელმა უცნაურად გადაიხარხარა, ეპიფანიას ლოყაზე თითები შემოჰკრა და გზა განაგრძო. ეპიფანიამ იმწამსვე პარმაღისაკენ გაიხედა.

მისი ბავშვები იქ აღარ იდგნენ.

იმ ბედკრულ საღამოს შემდეგ მსუქანი პოლიციელი ეპიფანიას ყოველღამ რკინის კარებთან ხედავს, მაგრამ მას ყურადღებას აღარ აქცევს.

„განა ცოტაა ამ ქვეყანაზე შეშლილები?“ — ფიქრობს სახელმწიფოს წარმომადგენელი, ულვაშებში ჩაეღიმება და ეპიფანიას გვერდით ჩაუვლის.

იქ, კი, თავშესაფარში ცხარე ცრემლით სტირიან ჯორჯანო, პოალა, ფრანკო... რა ქნან პატარებმა? მამისაკენ, დედისაკენ მიისწრაფიან, დედა ენატრებათ.

# „აი როგორ გავები“

ვეფხვის ფიტული, რომელსაც თქვენ ამ სურათზე ხედავთ, ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ზოოლოგიის განყოფილებაში. ლენქორანიდან საქართველოში შემოჭრილი ეს ვეფხვი 1922 წელს მონადირეებმა მოკლეს თბილისიდან 25 კილომეტრის დაშორებით, სოფელ ლელობთან.

მაქსიმ გორკიმ თბილისში ყოფნის დროს 1928 წელს სხვა მრავალ ღირსშესანიშნაობათა შორის დაათვალიერა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ზოოლოგიის განყოფილება. დიდი მწერალი თავის შთაბეჭდილებებში საქართველოში მოგზაურობის შესახებ ამ ვეფხვზე წერს: „მხეცი მეტად დიდია, მას აქვს მოზრდილი თათები და კბილები, მაგრამ მის მინის თვალებში არის რაღაც გაუგებრობის გამომხატველი გამოხედვა, სასაცილოც კი, თითქოს მან სიკვდილის წინ გაიფიქრა: „აი როგორ გავები“.

რ. აბალიანი



# სიმღერის მადლი

ნინო ალნიაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამო ხანია. ვარდების, ცაცხვებისა და აკაციების სურნელებას გაუბრუებია მყუდროებაში ჩაფლული ეზო, ქუჩა უცებ ტკბილმა ჰანგებმა გათანგეს. ხმაშეწყობილად, გატაცებით მღეროდნენ!

ღამის წყვდიადში თითქოს ათასობით, ათიათასობით ციცინათელამ აციმციმა თავისი პაწაწინა სანთურა...

მეზობლები აივნებზე გადმოდგნენ. ციცინათელები ისევ დაფარფატებდნენ,

„ჩემო ციცინათელა, დაფრინავ ნელა-ნელა,
მე ვარ შენი ერთგული სხვა გიღალატებს ყველა"...

სიმღერის ჯადოსნურმა ხმებმა ანდამატივით მიიზიდა მსმენელები.

ლამპის შუქით განათებულ ოთახში, დიდ ტახტზე ზის ოჯახის დედა. ათი ერთმანეთის მომდევნო შვილი კი წიწილებივით შეჰფარებია მის კალთას.

ახალგაზრდა ვასასის, გულშიჩამწვდომი, ხავერდოვანი ხმა ჰქონდა. ჰოდა, მის ათივე შვილს დედის ხმის ბარაქა და მადლი დაჰყვა. როცა ამღერდებოდნენ, თითქოს სალამურისყელიანი ჩიტების გუნდი იწყებდა სტვენა-გალობას. დედამ იმთავითვე შენიშნა შვილების ლტოლვა სიმღერისადმი და ყოველ საღამოს ავარჯიშებდა, სიმღერას ასწავლიდა.

ასე შეიქმნა ქუთაისელი იშხნელების ოჯახური გუნდი. სამი ძმა და შვიდი და დედის ხელმძღვანელობით სწრაფად ითვისებდა ახალ თუ ძველებურ ხალხურ სიმღერებს. იმ დროს სახელგანთქმული მომღერალი და მთქმელი ვარინკა წერეთელი იშხნელების ხშირი სტუმარი იყო. ვარინკასა და ვასასის დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდათ. საჩხერიდან ქუთაისში ჩამოსული ვარინკა წერეთელი თავის მგალობელ მეგობრებს ახალ სიმღერებს ჩამოუტანდა ხოლმე ნობათად. საღამოობით მთელი ოჯახი შეიკრიბებოდა, მეგობრებიც ესტუმრებოდნენ და იმართებოდა ტრადიციული საოჯახო კონცერტები.

ვარინკა წერეთელი და ვასასი იშხნელი თავიანთი ხავერდოვანი ხმებით ატკბობდნენ მსმენელებს. ისინი ტკბილად მღეროდნენ აკაკი წერეთლის პატრიოტულ ლექსებს, უმღეროდნენ სამშობლოს, სიყვარულს. აკაკის ლექსების უმეტესობას თვით ვარინკა ურჩევდა სასიმღერო ხმებს. პატარა იშხნელები გაფაციცებით იჭერდნენ ყოველ მუსიკალურ ბგერას. მერე შეუცდომლად იმეორებდნენ. ვარინკა წერეთელი მუდამ ხარობდა „შვილობილების" წარმატებებით.

უკანასკნელად თბილისში ჩამოსულმა ღრმად მოხუცმა ვარინკა წერეთელმა დები იშხნელები დაიბარა და აკანკალებული, ჩახლეჩილი ხმით მუხამბაზი უმღერა...

მღეროდა ვარინკა და დანაოჭებულ ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა... ვინ იცის რა გაიხსენა, რა დაუდგა თვალწინ მრავალი ავისა და კარგის მომსწრე ქალს.

— ჩემი ნათქვამი მუხამბაზია. თქვენ გიტოვებთ... არ დამიკარგოთ. აბა, ახლა გაიმეორეთ, — ახალგაზრდული ხალისით, თითქოს ქუთაისში ამღერებული გოგონები ესხდნენ წინ, ისე უბრძანა ვარინკამ და დებმა იშხნელებმა კვლავ გააცოცხლეს, ააჟღერეს სიმღერა.

...გადიოდა დრო.

იშხნელების გუნდის ქება ძთელ ქუთაისს მოედო. მეფის თვითმპყრობელობის დროს ადგილობრივი კულტურული დაწესებულებების შესანახავად ან რომელიმე მოღვაწის სასარგებლოდ, საქველმოქმედო საღამოები იმართებოდა. ასეთ საქველმოქმედო საღამოებზე გამოვიდა პირველად და-ძმა იშხნელების ანსამბლი.

პატარა მომღერლებს დიდხანს უკრავდნენ ტაშს. ბევრჯერ გაამეორებინეს კიდეც...

ხშირად დამტკბარა იშხნელების სიმღერებით დიდი აკაკი, ანსამბლი ხომ უმეტესად მის შესანიშნავ ლექსებს მღეროდა.

— ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო აგრეთვე უბადლო მომღერალი ვანო სარაჯიშვილი, — იგონებს თამარ იშხნელი, — ქუთაისში ჩამოსული ვანო, აბა, ისე როგორ მოისვენებდა, რომ დედაჩემის სიმღერა არ მოესმინა. მერე თვითონაც აღიღინდებოდა მასთან ერთად... სიმღერის ეშხში შევიდოდა; ურმულს შემოსძახებდა და უნდა გენახათ, რა ამბავი იყო ჩვენს ეზოში, — ისე გაიჭედებოდა ხალხით, ნემსი არ ჩაიგდებოდა. ვანოს არც თბილისში ვავიწყდებოდით. ქალაქში, ჩვენს გათხოვილ დასთან ვალენტინასთან რომ ჩამოვიდოდით, ვანო მაშინვე მოვიდოდა ხოლმე. აგვიყოლიებდა და მთელი საღამო ერთად ვმღეროდით. ძალიან უყვარდა შინაურული, ხალხური სიმღერები. ერთად, გიტარის თანხლებით ვმღეროდით „ქალო განხე ფეხშიშველი", „თავო ჩემო" და სხვა მრავალ სიმღერას.

დიდი წარმატება ხვდა წილად იშხნელების გუნდს ნიჭიერი ქართველი მსახიობი ქალის ნუცა ჩხეიძის საიუბილეო საღამოზეც. ამის შემდეგ თითქმის არ დარჩენილა საქართველოს არც ერთი ქალაქი და სოფელი, რომ იშხნელებს კონცერტი არ გაემართოთ. ისინი გატაცებით უმღერიან განახლებულ სამშობლოს, ბედნიერ ცხოვრებას, ჩვენი გმირი ხალხის ბედნიერ აწმყოსა და ნათელ მომავალს.

ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწეებმა, დებმა იშხნელებმა სიყრმიდანვე შეისისხლხორცეს ქართული ხალხური სიმღერების შნო და ლაზათი, ისინი მუდამ გულისყურითა და დიდი სიყვარულით ეკიდებიან ხალხის წიაღში დაბადებულ შემოქმედებას და უნაკლოდ, დიდი გრძნობებით ძერწავენ მათ.

— იშხნელების ოჯახში კედლებიც კი მღერიანო, — ხშირად ამბობდა სიმღერის მადლით მოხიბლული შალვა დადიანი.

## ჩინარების ხეივანში

(დასაწყისი იხ. მე-13 გვ.)

მოვარჩინეთ. მისი მკურნალობის პერიოდში ჩვენთან მოვიდა შავებში ჩაცმული ქალი, რომელმაც განაცხადა, რომ ლენინგრადის დაბომბვის დროს მას დაეღუპა ქმარი და ერთი პატარა ბავშვი. ქალმა გვთხოვა მოგვენახა რაიმე სამუშაო საავადმყოფოში. ის ჩვენ დავნიშნეთ შემცვლელ ექიმად. აი აქედან იწყება ივანოვის დანგრეული ოჯახის აღდგენის ისტორია. სამსახურში შემცვლელ ექიმად მიღებულმა ქალმა ბავშვის ბანაობის დროს კისერზე ჩამოკიდებული მედალიონის საშუალებით შემთხვევით იპოვა თავისი დაკარგული შვილი. მაგრამ განა აქ თავდება ეს ამბავი.

გავიდა კიდევ ორი წელიწადი და ჩვენ გავიგეთ, რომ ლენინგრადის დაცვის გმირი ივანოვი დაეძებს თავის შვილს. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩემო კარგო, — სიხარულით ამბობს საავადმყოფოს მთავარი ექიმი, — ივანოვი ლენინგრადიდან ჩამოვიდა და ჩვენთან, ჩვენს კლინიკაში იპოვა დაკარგული ცოლ-შვილი.

როდესაც საავადმყოფოს პალატიდან გამოვედით, დერეფანში დავით იაშვილი ორმა ბავშვმა გააჩერა, ბავშვებმა დიდი აღტაცებით მიულოცეს მას რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის წოდების მინიჭება.

სახეგაბრწყინებული ექიმი დავით იაშვილი კი აივანზე იდგა და სიხარულით ადევნებდა თვალს საავადმყოფოს ჩინარების ხეივანში მიმავალ ორ პატარა თეთრბაბთებიან გოგონას: ქეთევან ლეკიშვილს და ეკატერინე ლორთქიფანიძეს.

## ვუნდერკინდის ბედი



1921 წლის თებერვალი... მსოფლიოს კინო-ეკრანებზე გამოვიდა ჩარლი ჩაპლინის ახალი სურათი „ბიჭუნა". ამ ფილმს დიდი წარმატება ხვდა. „ბიჭუნაში" ჩაპლინის ბრწყინვალე თამაში კინაღამ არ დაჩრდილა პატარა ჯეკი კუგანმა.

ჯეკი კუგანის კინემატოგრაფიული კარიერა სრულიად შემთხვევით დაიწყო. ესტრადის მსახიობების შვილი ჩარლი ჩაპლინმა შენიშნა. მან მამასთან ერთად მიიწვია ჯეკი თავის მომავალ სურათში.

„ბიჭუნას" დიდი წარმატების შემდეგ ჩაპლინმა პრემიის სახით მისცა ჯეკს ხუთი ათასი დოლარი

(გაგრძელება მე-19 გვ.)

# არავინ არასდროს არ კვდება

(დასაწყისი იხ. მე-2 გვ.)

ნუთუ ყველა ჯარისკაცი ასეთი გრძნობიერია?“

„მე კარგი ჯარისკაცი ვარ“.

„მჯერა. შენ კიდევაც ლაპარაკობ კარგი ჯარისკაცივით. როგორი ჯარისკაცი იყო ჩემი ძმა?“

„ძალიან კარგი, ჩემზე უფრო მხიარული. მე მხიარული არ ვყოფილვარ. ეს ნაკლია“.

„ის მხიარული იყო?“

„ყოველთვის. ეს დიდად დასაფასებელი თვისებაა“.

„შენ კი არ იყავ მხიარული?“

„არა. მე ყველაფერს სერიოზულად ვეკიდები. ეს კი ნაკლია“.

„მაგრამ დაჩვეული ხარ აკრიტიკო შენი თავი და წიგნივით ილაპარაკო“.

„უმჯობესი იქნებოდა, რომ მხიარული ვყოფილიყავი, —თქვა ენრიკემ, — ვერასგზით ვერ ვისწავლე მხიარულება“.

„მაგრამ მხიარულები ხომ ყველანი მოკლეს?“

„არა, — თქვა ენრიკემ, — ბაზილიო, მაგალითად, მხიარულია“.

„მაშ, იმასაც მოკლავენ,“ — თქვა ქალიშვილმა.

„მარია! ასე ნუ ლაპარაკობ! შენ დამარცხების მსურველივით ლაპარაკობ“.

„შენ წიგნივით ლაპარაკობ, — უთხრა მარიამ, — ხელი არ მახლო, გეთაყვა. შენ გულგამოფიტული ხარ და მეჯავრები“.

ისევ ეტკინა გული ენრიკეს, ენრიკეს, რომელიც ფიქრობდა, გული გაქვავებული მაქვს და ფიზიკური ტკივილის გარდა, ვერაფერი დამაღონებსო. საწოლზე მჯდომი ენრიკე წინ გადაიღუნა.

„ამიწიე სვიტერი,“ — უთხრა მან.

„არა, არ მსურს“.

ენრიკემ თვითონვე აიწია სვიტერი და ზურგი უჩვენა.

„მარია, შემხედე! — თქვა ენრიკემ, —ეს წიგნიდან არ არის“.

„არ შემიძლია შევხედო, — თქვა ქალიშვილმა, —არც მსურს შევხედო“.

„დამადე ხელი წელზე“.

ენრიკემ იგრძნო, როგორ ეხებოდა ქალიშვილის თითები მის შემზარავ ნაჭრილობებს. ამ ჭრილობაში თავის დროზე თავისუფლად გაეტეოდა ბეისბოლის ბურთი; მისი გამოწმენდის დროს ქირურგი შიგ რეზინის ხელთათმანიან ხელს ჰყოფდა. ეს იყო საოცარი ნაჭრილობები. ენრიკე გრძნობდა ქალიშვილის თითების შეხებას და შინაგანად შფოთავდა. მერე ქალიშვილმა მაგრად მოხვია მას ხელები და კოცნა დაუწყო. ქალის ტუჩები თითქოს ჰუნძული იყო უეცრად მოვარდნილ მწვავე ტკივილის ზღვაში. ეს აუტანელი ტკივილი ტალღასავით დაეძგერა მას და უმალვე დაცხრა. მერე ტკივილებდამცხრალი, გაოგნებული და გაოფლიანებული ენრიკე მარტო იჯდა თავის საწოლზე. მარია კი ტიროდა და ამბობდა:

„ო, ენრიკე, მაპატიე! მაპატიე, გეთაყვა!“

„არაფერია, — თქვა ენრიკემ, —საპატიებელიც არაფერია. მხოლოდ ეს არც ერთ წიგნიდან არ იყო ამოღებული“.

„ყოველთვის ასე გტკივა?“

„მხოლოდ მაშინ, როდესაც მეხებიან ან რაიმე შემანჯღრევს“.

„ხერხემალი როგორ გაქვს?“

„ის მხოლოდ ოდნავ მქონდა დაზიანებული. თირკმელებიც ასევე. მაგრამ ახლა არა უშავს. ყუმბარის ნამსხვრევი ერთ მხარეს მომხვდა და მეორე მხარეს გამოვიდა. სხვა ჭრილობებიც მაქვს, ცოტათი ქვემოთ, ფეხებზედაც მაქვს“.

„ენრიკე, გეთაყვა, მაპატიე!“

„საპატიებელი არაფერია. მაგრამ ცუდი ის არის, რომ არ შემიძლია გეალერსო; გარდა ამისა, ვწუხვარ, რომ მხიარული არა ვარ“.

„ჩვენ ვიალერსებთ, როცა ყველაფერი მოგირჩება“.

„ჰო“.

„მალეც მოგირჩება“.

„ჰო“.

„და მე შენ მოგივლი“.

„არა, მე თვითონ მოგივლი შენ. ეს ჭრილობები არაფერია. მხოლოდ მტკივა, როდესაც მეხებიან, ან უეცრად რომ შევირხევი. მაგრამ ეს არ მაწუხებს. ახლა ჩვენ საქმეს უნდა შევუდგეთ. ახლავე უნდა გავშორდეთ აქაუროობას. ყველაფერი, რაც აქ არის, ამაღამვე უნდა გავზიდოთ. ისეთ ახალ ადგილას უნდა მოვათავსოთ, შემჩნეული რომ არ იყოს, თანაც ყოველივე ამის შესანახავადაც ვარგოდეს. ესენი ჩვენ არცთუ ისე მალე დაგვჭირდება. ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი, ვიდრე საჭირო სარბიელს მოვამზადებთ. ბევრიც უნდა გამოვწვრთნათ. იმ დროისათვის ეს ვაზნები შეიძლება არც კი გამოდგეს. აქაური ჰავა მალე აფუჭებს ფალიებს. ახლა კი უნდა წავიდეთ. რაედაც სისულელე ჩავიდინე, ასე დიდხანს რომ დავყოვნდი აქ; ის სულელი კი, ვინც აქ დამაბინავა, პასუხს აგებს კომიტეტის წინაშე“.

„მე შენ ღამით უნდა გამეყვანე იქ. ისინი ფიქრობდნენ, რომ დღისით შენ ამ სახლში არავითარი საშიშროება არ მოგელოდა“.

„ეს სახლი არასაიმედოა“.

„ჩვენ მალე წავალთ აქედან“.

„ადრევე უნდა წავსულიყავით“.

„ენრიკე, მაკოცე“.

„ფრთხილად ჩავეკრათ ერთმანეთს“, — თქვა ენრიკემ.

მერე, სიბნელეში, თვალებდახუჭული ნელა მიწვა ლოგინზე. მათი ტუჩები ერთმანეთს შეეწება. ეს იყო ბედნიერება უტკივილოდ, გრძნობა იმისა, რომ სახლში ხარ და არაფერი გტკივა; სახლში დაბრუნდი ცოცხალი და ტკივილი არ გაწუხებს; სიყვარულით ხარ გალაღებული და არაფერი გტკივა; სიცალიერე იყო მათ სიყვარულში და ახლა ეს სიცალიერე შეივსო; სიბნელეში მათი ტუჩები ერთმანეთს ეწებება და ისინი აღსავსენი არიან ბედნიერებით, ნეტარებით, სიკეთით, უტკივილო ბედნიერებით სახლის წყვდიადსა და სითბოში. მაგრამ უეცრად ყოველივე ეს გადაკვეთა საყვირის შემაზრზენმა ხმამ, რამაც ქვეყნად არსებული ყველა ტკივილი აღძრა — იყო ნამდვილი საყვირი და არა რადიო. არა მარტო ერთი საყვირი, ორი საყვირია. ორთავე ახლოვდება ქუჩის ორივე ბოლოდან.

ენრიკემ თავი მოაბრუნა, მერე ფეხზე წამოდგა. გაიფიქრა მცირე ხანს მომიხდა სახლში ყოფნაო.

„გადი გარეთ და მინდორს გაჰყევი, — უთხრა ენრიკემ მარიას, — წადი, მე აქედან ავტეხ სროლას და მათ დივერსიას მოვუწყობ, მათ ყურადღებას მე მივიპყრობ“.

„არა, შენ წადი, — თქვა მარიამ, — გეთაყვა! მე დავრჩები და ავტეხავ სროლას. მაშინ ისინი იფიქრებენ, რომ შენ ისევ შიგნით ხარ“.

„წავიდეთ, — უთხრა ენრიკემ, — ორივენი წავიდეთ. აქ არაფერია დასაცავი. მთელი ეს იარაღი უსარგებლოა. უმჯობესია წავიდეთ“.

„არა, მე დავრჩები, — თქვა მარიამ, — მე შენ დაგიფარავ“.

მარიამ ხელი წაუწია რევოლვერს, იღლიის ქვეშ რომ ეკიდა ენრიკეს, მაგრამ ენრიკემ მას ყბაში გაარტყა.

„წავიდეთ! ნუ სულელობ. წავიდეთ“.

ისინი კიბეზე დაეშვნენ. ენრიკე გრძნობდა, რომ მას გვერდით მიჰყვებოდა მარია. ვაჟმა გააღო კარი და ორივენი გარეთ გავიდნენ. მერე ვაჟი შემობრუნდა და კარი დაკეტა.

„გაიქეცი, მარია! — უთხრა მან, — მინდორს გაჰყევი, აი, იმ მიმართულებით. აბა, გასწი“.

„მე შენთან ერთად მინდა“.

ენრიკემ კვლავ გაარტყა ქალიშვილს.

„გაიქეცი! მერე ბალახში ჩაწექი და გაცოცდი. მაპატიე, მარია. მაგრამ... გასწი. მე მეორე მხარეზე წავალ. გასწი, — უთხრა მან, — ღმერთმა დასწყევლოს, გაიქეცი-მეთქი“.

ორივე ერთ და იმავე დროს შევარდა შამბნარში. ენრიკემ ოციოდე ნაბიჯი გაირბინა, მერე კი, როდესაც პოლიციელთა მანქანები გაჩერდნენ სახლის წინ და საყვირთა ხმაც შეწყდა, იგი მიწას გაეკრა და გახოხდა.

ენრიკე დაბეჯითებით მიიწევდა წინ, სახეზე ბალახის მტვერი ეყრებოდა, ხელებსა და მუხლებზე ბუძგატას ეკლები ესობოდნენ ყოველ წუთს; მან გაიგონა, როგორ უვლიდნენ სახლს გარშემო პოლიციელები. ახლა უკვე ალყა შემოარტყეს. იგი თავგამეტებით მიხოხავდა, ტკივილს არად აგდებდა, თანაც დაძაბულად ფიქრობდა.

„რად სჭირდებოდათ საყვირები? რატომ უკანიდან არ მოიყვანეს მანქანები? რატომ არ არის მინდორზე ფარანი ან პროჟექტორი? რა ხალხია ეს კუბელები, — ფიქრობდა იგი, — ალბათ, დარწმუნებული არიან, რომ სახლში არავინ არის. მოვიდნენ მხოლოდ იარაღის წასაღებად. მაგრამ რად სჭირდებათ საყვირები?“.



უკანიდან მოესმა, როგორ ამტვრევდნენ ისინი კარს. ჩოჩქოლებდნენ სახლის ირგვლივ. მოისმა სასტვენის ხმაც. ენრიკემ განაგრძო ხოხვა.

„სულელები, — გაიფიქრა მან, — მაგრამ, ალბათ, მათ უკვე ნახეს კალათი და თეფშები. რა ხალხია! ვის გაუგია სახლის ასე გაჩხრეკა“.

ენრიკე თითქმის მინდორის ბოლომდე მიხოხდა. მან იცოდა, რომ ახლა უნდა წამომდგარიყო და სწრაფი ნახტომებით გადაერბინა გზა შორეულ სახლებამდე. ხოხვას ისე შეუგუა სხეული, რომ ტკივილს ნაკლებად გრძნობდა. მას შეეძლო თითქმის ყოველ მოძრაობას შესჩვეოდა. მხოლოდ მკვეთრი შერხევა აყენებდა ტკივილს და ეშინოდა, რომ სწო-

რედ გადარბენის დროს მოუვიდოდა ეს.

შამბნარიდან ჯერ კიდევ არ იყო გასული, რომ ცალ მუხლზე წამოდგა და ტკივილს გაუძლო, მერე ისევ იგრძნო მწვავე ტკივილი, როდესაც მეორე ფეხი მიიტანა მუხლთან, რომ ზეზე წამომდგარიყო.

ენრიკე გაიქცა, ქუჩა გადასჭრა და მოპირდაპირე სახლს მიაშურა, რომ უეცრად პროჟექტორი ჩაერთო და ენრიკე შუქის კონაში გაეხვია. სინათლემ თვალი მოსჭრა და ირგვლივ შემოწოლილ წყვდიადში მხოლოდ ამ დამაბრმავებელ შუქის ზოლს ხედავდა.

პროჟექტორი ანათებდა პოლიციელთა მანქანიდან, რომელიც ჩუმად, უსაყვიროდ მოვიდა და მინდვრის უკანა კუთხესთან დადგა.

როგორც კი რევოლვერზე ხელწავლებული ენრიკე ზეზე წამოდგა და თვალისმომჭრელმა შუქმა



მისი გამხდარი და მაღალი ტანი გაანათა, ჩაბნელებულ მანქანიდან მას ავტომატების ჯური დააყარეს. თითქოს მკერდზე კეტები დასცხესო. მან კი მხოლოდ პირველი დარტყმა იგრძნო. ტყვიების სხვა მოხვედრა თითქოს პირველი დარტყმის გამოძახილი იყო.

იგი პირდაღმა წაიქცა ბალახებში და დაცემის წამში, შესაძლოა, უფრო ადრეც — შუქის მინათებისა და პირველი ტყვიის მოხვედრის შუა, თავში გაუელვა ერთმა უკანასკნელმა აზრმა: „ესენი არცთუ ისე სულელები ყოფილან. შეიძლება, კიდევაც გამოუვიდეთ რამე“.

კიდევ ერთი აზრისთვის რომ ჰქონოდა დრო, იგი, ალბათ, დაიმედებდა თავისთავს, რომ მინდვრის მეორე კუთხესთან არ იდგა მანქანა. მაგრამ მანქანა იქაც იდგა და მისი პროჟექტორი დაბორიალობდა მინდორზე. შუქის ფართო კონა დათამაშებდა შამბნარს, რომელშიც ქალიშვილი — მარია იმალებოდა მიწაზე გართხმული. ჩაბნელებულ მანქანიდან კი მეტყვიამფრქვევენი უტყუარი და უშნო ტომპსონების პირშავ ლულებს აყოლებდნენ შუქის მოძრაობას.

პროჟექტორიანი შავი მანქანის უკან ხის ჩაბნელებულ ჩრდილში იდგა ზანგი. მას ჭილის ქუდი ეხურა და შალის პიჯაკი ეცვა. ხალათს ქვეშ იგი ატარებდა ავგაროზების ცისფერ მძივს. იგი მშვიდად იდგა და თვალს ადევნებდა პროჟექტორის მოქმედებას.

პროჟექტორი კი დაფათურობდა შამბნარში, სადაც მიწაზე გართხმული ქალიშვილი იწვა, რომელსაც ნიკაპი მიწაში ჩაერგო. იგი არ განძრეულა იმ წუთიდან, როდესაც პირველი გასროლის ხმა გაიგონა. გრძნობდა როგორი ბაგაბუგი გაჰქონდა მის გულს მიწაზე.

„შენ ხედავ ქალს?! — იკითხა ვიღაცამ მანქანაში.

„საჭიროა შამბნარი მოიჩხრიკოს თავიდან ბოლომდე, — თქვა ლეიტენანტმა, — „Hola!“ — დაუძახა მან ზანგს, რომელიც ხის ქვეშ იდგა, — წადი სახლში და უთხარი, რომ ისინი გამწკრივდნენ და ისე გადმოსერონ შამბნარი ჩვენამდე. შენ დარწმუნებული ხარ, რომ აქ მხოლოდ ორი იყო?“

„მხოლოდ ორი, — მშვიდად უპასუხა ზანგმა, — ერთი უკვე გათავებულია“.

„წადი!“.

„მესმის, ბატონო ლეიტენანტო“, — თქვა ზანგმა.

მან ორივე ხელი წაივლო ქუდზე და მინდვრის გაყოლებით გაიქცა სახლისაკენ, სადაც ყველა ფანჯარა უკვე განათებული იყო. შამბნარში კი იწვა ქალიშვილი, რომელსაც ხელები კეფაზე შემოეჭდო.

„მიშველე, რომ ავიტანო ყოველივე ეს“, — ჩაილაპარაკა მან ბალახებში ისე, რომ არავისთვის მიუმართავს, რადგან აქ არავინ იყო. მერე უეცრად აქვითინდა და გაიმეორა: „მიშველე, ვისენტე. მიშველე, ფილიპე. მიშველე, ჩუჩო. მიშველე, არტურო. ახლა შენც, ენრიკე, მიშველე...“

ოდესღაც მას შეეძლო წარმოეთქვა ლოცვა, მაგრამ ეს უკვე დაკარგული იყო, მას კი ახლა ძლიერ ესაჭიროებოდა შველა.

„მიშველეთ, რომ კრინტი არ დავძრა, თუ ისინი დამიჭერენ, — ჩაილაპარაკა მან ბალახებში, — მიშველე, ენრიკე, რომ კრინტი არ დავძრა. მიშველე, ვისენტე, რომ ვერაფერი დამაცდენინონ“.

ქალიშვილს ესმოდა როგორ მოალაჯებდნენ ისინი უკან, თითქოს მარეკებიაო; კურდღლებს რომ აფრთხობენ. ისინი ფართო მწკრივად მოდიოდნენ და ელექტრონის ფარნებით ანათებდნენ შამბნარს.

„ო, ენრიკე, — თქვა მარიამ, — მიშველე მე“.

კეფაზე შემოჭდობილი ხელები გვერდებზე ჩამოუშვა და მუშტები შეკრა.

„ასე უკეთესია, თუ გავიქცევი, ისინი მესვრიან. უბრალოდ იქნება“.

მარია ნელა წამოდგა და პირდაპირ მანქანისაკენ გაიქცა. პროჟექტორის შუქი მას მთლიანად ანათებდა. ქალიშვილი გარბოდა და მხოლოდ პროჟექტორის თეთრ, დამაბრმავებელ თვალს ხედავდა. იგი ფიქრობდა, რომ ასე უმჯობესი იყო.

მის უკან ყვიროდნენ. მაგრამ სროლა არ აუტეხიათ. ვიღაცამ მაგრად ჩაავლო ხელი და ქალიშვილი წაიქცა. ესმოდა იმ ვიღაცის სუნთქვა.

კიდევ ვიღაცამ მკლავში ჩასჭიდა ხელი და ფეხზე წამოაყენა. მერე ორივე მხრიდან ამოუდგნენ და მანქანისაკენ წაიყვანეს. ისინი ქალიშვილს უხეშად არ ეპყრობოდნენ, მაგრამ მიძალებით მიჰყავდათ მანქანისაკენ.

„არა, —თქვა მარიამ, — არა და არა!“

„ეს ვისენტე იტურბეს და არის, — თქვა ლეიტენანტმა, — ეს ქალიშვილი შეიძლება გამოგვადგეს ჩვენ“.

„მაგას უკვე ჩამოართვეს ჩვენება“, — თქვა ვიღაც მეორემ.

სერიოზულად ერთხელაც არ დაუკითხავთ.

„არა! — თქვა მარიამ, — არა და არა!“ შემდეგ უფრო ხმამაღლა: „მიშველე, ვისენტე! მიშველე, ვისენტე! მიშველე, მიშველე, ენრიკე!“

„ისინი ცოცხლები არ არიან,— უთხრა ვიღაცამ. ისინი შენ ველარ გიშველიან! სისულელეს ნუ როშავ“.

„დიახ!—თქვა მარიამ,— ისინი მე მიშველიან. სწორედ მკვდრები მიშველიან. დიახ, დიახ! ჩვენი მკვდრები მიშველიან მე!“

„მაშ კარგი, შეხედე შენს ენრიკეს, — უთხრა ლეიტენანტმა, —ნახე, გიშველის თუ არა ის. აქ არის, მანქანის საბარგეში“.

„ენრიკე უკვე მშველის მე, — თქვა ქალიშვილმა, — განა თქვენ ვერ ხედავთ, რომ იგი უკვე მშველის მე? გმადლობ, ენრიკე, ო, რა დიდი მადლობელი ვარ შენი!“

„გავწიოთ, — თქვა ლეიტენანტმა, — ეს ქალი ჭკუაზე შეცდა. ოთხი კაცი დასტოვეთ იარაღის დასაცავად, მის წასაღებად საბარგო მანქანას გამოვგზავნით, ამ შერყეულს კი შტაბში წავიყვანთ. იქ ყველაფერს იტყვის“.

„არა! — თქვა მარიამ და ლეიტენანტს სახელოზე წაავლო ხელი, — თქვენ განა ვერ ხედავთ, რომ ყველა ისინი მე მშველიან?“

„არა, — თქვა ლეიტენანტმა, — შენ ჭკუაზე ხარ შერყეული.“

„ტყუილ-უბრალოდ არავინ კვდება, — თქვა მარიამ, — ახლა ყველანი მე მშველიან“.

„მოდი, ერთი საათის შემდეგ გიშველოს შენ ყველამ“, — თქვა ლეიტენანტმა.

„კიდევაც მიშველიან, — უთხრა მარიამ, — დარდი ნუ გაქვთ. ახლა მე ბევრი, ძალიან ბევრი ხალხი მშველის“.

სავარძლის საზურგეზე მიყრდნობილი მარია ძლიერ მშვიდად იჯდა. ისე ჩანდა, რომ ახლა იგი აღსავსე იყო საოცარი რწმენით და დაჯერებით. ასეთივე რწმენა და დაჯერება იგრძნო ხუთას წელზე ცოტა მეტი ხნის წინათ ამ ქალიშვილის ასაკისავე მეორე ქალიშვილმა რუანად წოდებული ქალაქის საბაზრო მოედანზე.

მარია ამაზე არ ფიქრობდა, მანქანაში მსხდომთაგან არც სხვა ვინმე ფიქრობდა ამაზე. ამ ორ ქალიშვილს, ჟანასა და მარიას, არაფერი ჰქონდათ საერთო, გარდა საოცარი რწმენისა და დაჯერებისა, რაც მათ მოულოდნელად დაეუფლა. მაგრამ მარიას შემხედვარე ყველა პოლიციელს გული საგულეს არ ჰქონდა. მარია წელგამართული იჯდა პროჟექტორის სინათლეში, რასაც მისი სახეც გაეცისკროვნებინა.

მანქანები დაიძრნენ; წინ მიმავალი მანქანის უკანა სავარძელზე მეტყვიამფრქვევენი ავტომატებს ბრეზენტის მძიმე ბუდეებში ალაგებდნენ; კონდახებს ხსნიდნენ და ირიბ ჯიბეებში ჩურთავდნენ; ლულებს სახელურებიანად დიდ შუა განყოფილებებში ათავსებდნენ, ხოლო სავაზნე კოლოფებს —ვიწრო გარე ჯიბეებში აწყობდნენ.

ჭილისქუდიანი ზანგი კუთხიდან გამოვიდა და პირველ მანქანას ხელი დაუქნია. იგი შოფრის გვერდით დაჯდა და ოთხივე მანქანამ მოუხვია გზატკეცილისაკენ, რომელიც სანაპიროს გაყოლებით ჰავანასკენ მიდიოდა.

შოფრის გვერდით მჯდომმა ზანგმა უბეში ჩაიყო ხელი და ჯადო მძივის ლურჯი კენჭების გადამარცვლა დაიწყო. იგი მდუმარედ იჯდა და ავგაროზებს თითებით მარცვლავდა. უწინ იგი მტვირთავი მუშა იყო ნავსადგურში, მერე დამსმენი გახდა და ამაღამდელი მუშაობისათვის ჰავანას პოლიციისაგან ორმოცდაათი დოლარი უნდა მიეღო. ორმოცდაათი დოლარი— ეს მცირე თანხა როდია ჰავანას დღევანდელ პირობებში, მაგრამ ზანგს უკვე აღარ შეეძლო ეფიქრა ფულებზე. როდესაც ისინი მალეკონის განათებულ გზაზე გავიდნენ, ზანგმა ოდნავ მიიხედა და უკან ქალიშვილის ამაყად გაბრწყინებული სახე, მისი მაღლა აწეული თავი დაინახა.

ზანგი შეკრთა, თითებით მთელ მძივზე გადირბინა და მერე მაგრად ჩაბღუჯა მუშტში. მაგრამ მძივმა ვერ იხსნა შიშისაგან, რადგან სჭარბობდა ძველთაძველი ჯადოქრობა, მის ავგაროზებზე უფრო ძლიერი.

ინგლისურიდან თარგმნა

ანა რატიანმა



## ვუნდერკინდის ბედი

(დასაწყისი იხ. მე-16 გვ.)

და რადგანაც თვითონ აღარ აპირებდა ფილმის დადგმას ბავშვის მონაწილეობით, დაითხოვა იგი. მაშინ ჯეკი მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ — „გაიყიდა საჯარო ვაჭრობით“.

ზელინგის ფირმის გაკოტრების შემდეგ ჯეკის მონაწილეობით დაწყებული სურათი შეისყიდა ლესერმა, შემდეგ კი შეიძინა მსხვილმა ფირმამ „მეტრო-გოლდენმეიერმა“. კინომრეწველები და საკუთარი მშობლები არ უტოვებდნენ სწავლისა და დასვენების დროს პატარა ჯეკს. ჯეკის მონაწილეობით ეკრანზე გამოსულ პირველი სურათების შემდეგ მისმა მშობლებმა დააარსეს ცალკე ფირმა — „ჯეკი კუგანის წარმოება“. პატარა ჯეკი თავბრუდამხვევი სისწრაფით გადაჰყავდათ ერთი სტუდიიდან მეორეში. „გაუგონარი ბავშვი“, „ფლანდრიის შვილი“, „პატარა რობინზონი“, „ოლივერ ტვისტი“, „უფლისწული და მათხოვარი“ და მრავალი სხვა ფილმები პატარა „კინოვარსკვლავის“ მონაწილეობით ერთიმეორეზე მიყოლებით ედებიან მსოფლიოს ეკრანებს.

„ჯეკი კუგანის“ კომპანიას ჰქონდა სხვა შემოსავალიც. შოკოლადის ფაბრიკები უშვებდნენ კომფეტს „ჯეკი“, მისი პორტრეტით; სათამაშოების ფაბრიკები მის პორტრეტებს ათავსებდნენ სათამაშოებზე. ისე, რომ ბავშვის მშობლები დიდძალ მოგებას ნახულობდნენ. რაც შეეხება პატარა ბავშვს, მისი დრო მთლიანად ავსებული იყო მუშაობით, გაჩირაღდნებული პროჟექტორებით, სარეკლამო ხმაურით, მუდმივი ფუსფუსით, საავტომობილო მოგზაურობით...

და, აი, როდესაც თმახუჭუჭა ჯეკის ანცური სახე თანდათან გაჰქრა, როცა მოზარდი ჭაბუკად გადაიქცა, კინომრეწველებმა შეაქციეს მას ზურგი და ახალი „ვარსკვლავი“ — შარლეი ტემპლი გამონახეს. ჯეკი აღარავის აინტერესებდა. რა თქმა უნდა! ბავშვის სული ხომ ლიმონივით გამოსწურნეს.

ჯეკი კუგანის შემდგომ ცხოვრებაზედ ოცი წლის მანძილზე არაფერი ვიცოდით. მხოლოდ ახლახან გამოქვეყნდა ცნობა, რომ ის ჩარლი ჩაპლინის ვაჟთან ერთად მონაწილეობს ჰოლივუდის ახალ ფილმში.

ალ. სანადირაძე

## თევზი თუ ქვიშა

ცნობილმა გერმანელმა ზღვის (ფლორისა და ფაუნის) მკვლევარმა ჰანს ჰასმა ინდოეთის ოკეანის ღრმა წყლებში ბუნების კიდევ ერთი საკვირველება აღმოაჩინა. ჰასი და მისი ექსპედიციის წევრები ოკეანის ფსკერზე უცნაურ ველს წააწყდნენ. შორიდან ველზე მდელო წყალში ნელა ირწეოდა, ხოლო მყვინთავების მიახლოებისას მცენარეული შესახედაობის ქმნილებანი მყის ქრებოდნენ და მათ ადგილას ნახვრეტებით მოფენილი სილიანი ნიადაგი რჩებოდა. ბევრი შრომა დასჭირ-



დათ ექსპედიციის წევრებს, სანამ ამ ამოცანას ამოხსნიდნენ.

დიდხანს მსჯელობდნენ მკვლევარები, თუ როგორ დაეჭირათ ეს მფრთხალი ცხოველი თუ მცენარე. ბოლოს დოქტორი აიბლი ეშვება ფსკერზე და პიპეტით შეჰყავს ერთ-ერთ ნახვრეტში ნარკოტიკული საშუალება და რამდენიმე სეკუნდის შემდეგ ნახვრეტიდან ამოიზიდა მოქანავე მსხვილი ჭიაყელასმაგვარი არსება. დოქტორი აიბლი იჭერს მას. და აი, ეს ზღვის უცნაური ცხოველიც. ეს არის გველთევზას აქამდე უცნობი სახეობა. იგი თითის სიმსხოა და მისი სიგრძე ოცდაათ სანტიმეტრამდე აღწევს. ნახვრეტი ქვიშაში



ცხოველის ფორმის შესაბამისია და ცემენტირებულია (ალბათ, მისი კანის მიერ გამოყოფილი სეკრეტით).

# ზ ო გ ი რ ა მ

### ტყის დედა

კუნძულ მადაგასკარზე არის ერთი უზარმაზარი ხე — პურის ხე, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები „ტყის დედას“ უწოდებენ. ხის სიმაღლე 20 მეტრს უდრის, ხოლო სისქე 50 მეტრს. ამ უზარმაზარ ხეზე ათასობით ჩიტი, მწერი და პატარა მხეცი ცხოვრობს. მის ფუღუროში შეიძლება მოაწყოთ გარაჟი რამდენიმე მანქანისათვის. მეცნიერი ბოტანიკოსები კარგა ხანია სწავლობენ ამ ხეს, მაგრამ მისი ასაკი ჯერაც ვერ გამოარკვიეს.

### „ვყიდულობ პატარა ვულკანს“

რა სახისა და შინაარსის განცხადებებს არ შეხვდებით ამერიკის გაზეთებში. მაგრამ უკანასკნელ ხანებში გამოცხადებულმა ცნობამ ყველა გააკვირვა.

„ვყიდულობ პატარა ვულკანს“ — გამოაცხადა ერთ-ერთმა ქიმიურმა ფირმამ. მყიდველს განზრახული აქვს გამოიყენოს თავიანთი პროდუქციის ნედლეულ მასალად, ვულკანის ფერფლი.

„მხოლოდ ვულკანი უნდა მდებარეობდეს დასავლეთ ნახევარსფეროზე“ — აყენებს თავის პირობას ფირმა.

ამ განცხადებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა. მექსიკა, პერუ და სხვა ქვეყნები სთავაზობენ მყიდველს თავიანთ ვულკანებს.

### ეტლი და ცხენები

ერთ გლეხს სასამართლოში კარგა ხანია ჰქონდა შეტანილი საჩივარი. საქმის დასაჩქარებლად მოსამართლეს ახალი ეტლი აჩუქა. მოპასუხე მეზობელმა გაიგო თუ არა ეს ამბავი, მოსამართლეს ეტლისათვის ცხენები გაუგზავნა. მალე გაირჩა საქმე და განაჩენი მოპასუხის სასარგებლოდ იქნა გამოტანილი. მომჩივანმა გამწარებით წამოიძახა:

— ო, ჩემო ეტლო, გზა აგრევია!

მოსამართლემ უპასუხა:

— ეტლიც იქით წავა, საითაც ცხენები წაიყვანენო.

### რამდენი მცენარის ცნობა შეუძლია ბოტანიკოსს?

ბოტანიკის მოყვარულს შეუძლია ათასამდე მცენარის გამოცნობა. სპეციალისტი ბოტანიკოსი გამოიცნობს 5000-მდე მცენარეს. თითქოს ეს არც ისე ცოტაა, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მსოფლიოში ამჟამად რეგისტრირებულია 4.000.000 სხვადასხვანაირი მცენარე და მათი რიცხვი ყოველ წელს იზრდება, ხუთი ათასი მცენარის გამოცნობა არც ისე დიდია.



### ქალის ცრემლი

ერთი პროფესორის ახალგაზრდა მეუღლემ მოიწადინა ცრემლებით მოელბო თავისი ქმრის გული და დაიწყო ხმამაღლა ტირილი, მაგრამ ვერ შეუსრულდა საწადელი, ქმარმა გულგრილად უპასუხა:

— თუ ღმერთი გწამს, თავი შეიკავე, შენი ცრემლები ჩემზედ ვერ იმოქმედებენ, მე ქიმიურად გამოვიკვლიე და დავრწმუნდი, რომ ქალის ცრემლში მომეტებული ნაწილი წყალიაო.



ქალღმერთი იუნოსა

## ივნისი

წლის მეექვსე თვე 30 დღით. ძველ რომაელთა კალენდრის მიხედვით წლის მეოთხე თვე იყო 29 დღით. როდესაც იანვარი პირველ თვედ გამოაცხადეს, ივნისი მეხუთე თვე გახდა, ხოლო, როდესაც იანვარს თებერვალი მიაყოლეს, მაშინ ივნისი მეექვსე ადგილზე აღმოჩნდა. სახელწოდების წარმოშობაზე ორი აზრი არსებობს. ერთნი ფიქრობენ, რომ ივნისის თვეს ეწოდა ქალღმერთ იუნონას სახელი. იუნონა იყო იუპიტერის მეუღლე, ცის ღმერთი, შეუღლებულთა და ახლად დაბადებულთა მფარველი, ნაყოფიერების ღმერთი. მას ხშირად აიგივებენ ბერძნულ ქალღმერთ ჰერასთან. ეს აზრი ყველაზე უფრო გავრცელებული და მისაღებია. მეორეთა აზრით კი ივნისის თვეს ეწოდა რომის ერთ-ერთი კონსულის იუნიუს ბრუტოსის სახელი.

საფრანგეთის რევოლუციური კალენდრის მიხედვით ივნისი წლის მეცხრე თვე იყო, იწყებოდა 20-21 მაისს და მთავრდებოდა 19-20 ივნისს. ამ თვეს ფრანგები პრერიალს, ე. ი. მდელობის თვეს უწოდებდნენ.

ამერიკელი ინდიელებისათვის წლის დროს ეს მონაკვეთი ცნობილი იყო მარწყვის თვის სახელწოდებით.

ძველ სლავიანთა ენაში ივნისის თვე შეესაბამება ყვავილების თვეს (месяц цветов). რუსები ამ თვეს უწოდებდნენ липень-ს, розенцвет-ს, розовый-ს, ძველრუსულად — изок-ს, ე. ი. მინდვრის კალია, ჭრიჭინა.

ძველ ქართულში ივნისის თვეს ეწოდებოდა მარიალისა. კახეთში ამ თვეს აქვს სხვა სახელწოდებაც — თიბათვე, იმერეთში — ივანობისთვე, სამეგრელოში — ივანობა.

# უსიტყვოდ



ჟურნალ „ულენ შპიგელიდან“

ნახატი შ. მიშველაძისა



### ჟურნალ „დროშის“ № 5-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხი

ჰორიზონტალურად: 1. მაჯამა; 5. „ბრძოლა“; 7. ნიაგარა; 11. სამრეკლო; 12. ელბაქიძე; 14. იგავი; 15. პლეხანოვი; 16. დროშა; 19. მასალა; 22. კაბალა; 24. მელაძუა; 25. „ელვა“; 26. იუდა; 27. ბათუმი; 28. შანხაი; 29. ლეგა; 32. ჯარი; 33. ძნელაძე; 34. ორლოვა; 35. მძაფრი; 38. კლუბი; 39. ვორონცოვი; 40. ურანი; 44. ტრანზიტი; 46. წულუკიძე; 47. ისტორია; 48. იშხანი; 49. ორძელი.

ვერტიკალურად: 1. მეტეხი; 2. ამირა; 3. კამო; 4. ბაბე; 5. ბანქო; 6. ანგოლა; 7. ნიკელი; 8. ამბავი; 9. ქარვასლა; 10. მძერწავი; 13. ლანდაუ; 17. ალაჯალოვა, 18. ქავთარაძე; 19. მალსეკო; 20. ტერმინი; 21. ბუხაიძე; 23. ანდერძი; 30. ავლაბარი; 31. ალიონი; 32. ჯაფარიძე; 36. როსინი; 37. გვალვა; 38. კიროვი; 41. ირტიში; 42. უნარი; 43. აკიდო; 45. იშტა; 46. წერო.

გარეკანის პირველ გვერდზე: აყვავებულ ხესთან.
ფოტო ოთარ თურქიასი

მეოთხე გვერდზე: მარწყვი კალათით.
ფოტო გ. თიკანაძისა

რედაქტორი ალიო მირცხულავა — პ/მგ. მდივანი მ. ჟიბლაძე
სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე
საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი ვ. ონიანი. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, ? სართ. ტელ. — რედაქტორის და პ/მგ. მდივნის — 3-52-69, განყოფილებების — 3-95-38
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ. გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში
ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/VI-61 წ. გამომც. № 92. ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო ფორმათა რაოდ. 4,79.
პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8 ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 22.000, შეკვ. № 921, უე 00059
Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/ს „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. №14.

# გაზაფხულია!

სერგო ფაცაცია

გაზაფხულია!—ყვირის ყვირილა,
მინდვრად იები ეშხით კვესავენ:
დაბრუნებულა ჩემი გვირილა,
დაბრუნებულა შენი კესანი.
გაზაფხულია!—ჭიკჭიკი მერცხლის,
დილა—ვარდივით გაღიმებული;
ცაზე ანთია პრომეთეს ცეცხლი
სამარადისოდ გაღვივებული.
გაზაფხულია!—მღერის ჩანჩქერი
ზღვა სიხარულის გულში შემოჭრას;
უშბას დაემსხვრა ყინვის ჩაჩქნები.
მარტო სვანური ქუდი შემორჩა!
ბორგავს ენგური, შეკრა ტივებად
ზვირთები—მთებში ნანადირევი;
გაზაფხულია!—მეპატიება
თუ ენგურივით გადავირევი!
ყვავილებს გიკრეფ შენზე მლოცველი.
რამდენი ვკრიფე—აღარ ილევა...
გაზაფხულია!—ჩვენი ოცნების
და სიყვარულის აყვავილება!



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა